

45/3  
7

ଶ୍ରୀ ମହାଦେବ  
ପାତ୍ରପାତ୍ରକାଳୀ



ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ ନାନାଶ୍ରୀପାଠି  
ପୂରନାଳୀ

№ ।

୦୧୬୩୧୮୦

1908



## შინაგარსი

### შურჩად „ჯეჭილისა“

I სურათი. რას შეჰყურებ ჩემ ლექვებს? . . . . .	2
II მურა და ეფრე. ლექსი ო. რაზიკაშვილისა . . . . .	3
III თგვის გამჭრიახობა, ფრანგ. ექ. მ—ისა . . . . .	5
IV ოაწითანო ძალლი, თარგმანი ანიკოსი . . . . .	6
V ჩემ სიტყვას ვერ გავტეხ, ფრანგულით ტასჩის . . . . .	8
VI დაღუპული ქალაქები, აფ. ფადავასი . . . . .	11
VII პატარა ლირსა, ამბავი ფ—სი . . . . .	15
VIII ამბები ზოოლოგიურ ბაღში მცხოვრებლებისა, პ. შიქაბერიძისა . . . . .	26
IX წვრილმანი: ანდაზები, გამოცანები, ანაგრამა და გა- სართობი . . . . .	32
<hr/>	
X ელისაბერი, ლეგენდა ექ. გაბაშვილისა . . . . .	35
XI მონაღირეს ნააშპობი (რუსულით) ან. წერეთლისა . .	38
XII საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყო- ბილება, ფ. გომართლის . . . . .	43
XIII ხალხის სიბრძნე (ადამიანის წლოვანება) გაგონილი აფ. ალხაზიშვილის მიერ . . . . .	48
XIV უგულო ბავში, მოხხრ. მონგომერისა, გაგრძელება თარგ. ედ. წერეთლის . . . . .	53
XV მსოფლიო ისტორია ერ. ლავისისა ფრანგულიდან აფ. სარაჯიშვილისა . . . . .	61
XVI ბუნების ლექსიკონი, ნაწილი პირველი, შედგენი- ლი იდ. ალხაზიშვილის მიერ . . . . .	1—8

მიღება ხელის მოწერა

1908 წლის

ჯეჭილზე



# საქართვის ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეკის  
დაბურვი, განდი ყანათ!..  
დ ი

№ I

99

იანვარი, 1908

© ფელიციალი გეთვარაშვილი

ტ ვ ი ლ ი ს ი

ელექტრომბეჭდავ ამ. „შრომა“, მხელს ქუჩა, № 65  
1908



რაო, რას ძეჭურებ ჩემ ლუკუნს?

## მურა და ეფრე



ვილო, მურიას ჯოხს ნუ სცემ!

დედა არიგებს ეფრესა;

მაგრე არ უვარს სუმრობა

მურიასთანა ძეეფრებსა.

ეფრე კი მაინც არ იძლის,

აღარ ასვენებს მურასა,

ჯოხსა სცემს, სჩხვლეტავს და  
თანაც

სარობს, დასძასის „ურასა“.

მაგა, ხან ტუჩებს აუწებს:

,ჩორბი, ჩორბიო\*)“ კის ისებს

მურა კი გაჯავრებული

ღრინავს და გბილებს აკვესებს.

ახლა კუდს დაებლა :ჭა,

მოათორებს ქაწრეა-ფხოჭნითა,

მურა არ მოსდევს, მიწასა

ებღაუჭება ტოტითა.

სახალითვალო  
პარლავანის  
ეროვნული  
გიგანტობა

\*) ტუჩი.


ଅର ଉଚ୍ଛ୍ଵା, ଧେଇଲେ ଜୀବିତର  
ଅର ମନୋଶ୍ଵରନା ଗୁରୁତ୍ୱମା,  
ଅର ମନାଶ୍ଵରନା ମୃତ୍ୟୁ  
ଗାୟତ୍ରିକାରମା, କ୍ଷେତ୍ରମା.

ମୃତ୍ୟୁରାମା ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣ: ମନମେନାଶ  
ତାଙ୍ଗିଲେ କାମମୁଦ୍ରାଗାରି ଶୁଦ୍ଧେତା.  
ମୃତ୍ୟୁ ରୂପ ଜୀବନବୀର ମହାବ୍ଲାଇତ୍ୟ,  
ଅନ୍ତ ମୃତ୍ୟୁରୁଷ୍ମୀ ପୁରୁଷ୍ମୀ.

ଫାନ୍ଦାମନ୍ଦିରା ପାଞ୍ଚଶ୍ଵରୀପୁରୀ  
ପୁରୀରୁଥିଲେ ପାତ୍ରାମୁଖପାତ୍ରିତା,  
ଫଳମରା ଗୁରୁତ୍ୱର ଫଳ ବୀରମନ୍ତ୍ରି  
ପତ୍ରା ଅଶ୍ରୁଲାଲିନା ପୁରୁଷିତା.

ତ. ରାଜକ୍ୟାଶ୍ଵରିଲି.





თაგვის გამჭრიანობა.

(ფრანგულით)



თასში მაგიდასთან ბაგჟკი იჯდა და გა-  
კვეთილებს სწავლობდა. ბაგჟმა საუჩემე  
რომ სჭამა პურის ნამცეკები იატაკზედ  
დასცვივდა. უციბათ ხმაურობა მოისმა.  
კუთხიდან გამოცუნცულდა შატარა თა-  
გვი, მიიხედ-მოიხედა და როცა დარწმუნდა, რომ სა-  
შიში არა არის-არა, ისევ შეძერა თავის სოროში.

შატარა ხანს იქით ემაწვილმა დაინახა, რომ პატარა  
თაგვს უურძი მოკიდებული მეორე დიდი თაგვი მოჰ-  
ყადა, ერთ ადგილას დასვა, ნამცეცები მოუგროვა და  
წინ დაუეხრა. ბავშვა შეამჩნაა, რომ დიდი თაგვი ბრძა-  
იფო.

## მოწითანო მაღლი.



ასადილეჭს პატარა ელიზბარი წა-  
ვიდა ტუში თხილის დასაკრეფად.  
შემოდგომა იქთ.

ბაჟმა ვერც კი შენიშნა, როგორ შევიდა შუაგულ  
ტყეში. ამასობაში დაუღამდა კიდეც.

— ასლა კი დორა დავბრუნდე სახლში, გაიფიქ-  
რა ელიზბარმა,— მაგრამ საით წავიდე? მარჯვნივ თუ  
მარცხნივ?

საწეალი ბაჟმა სან აქეთ ეცა, სან იქით, გამო-  
სავალი ტეიდან არსადა ჩანდა. გზა დაჭვარგოდა.

ბაჟმი სახლში არ დაბრუნდა, ბებინებულმა დედ-  
მამამ გამწარებული დაუწეო ძებნა. ამათ შემოუარეს  
მეზობლებს, ტემიაც ბევრი ეძებეს, მაგრამ უმაწვილი  
ვერ იპოვეს.

მეორე დღეს მეზობლებიც მიეჭველენ და ეპელა  
ერთად დაეძებდა დაკარგულ ელიზბარს, მაგრამ ახ-  
ლაც ვერ იპოვეს.

უველამ თავი მიანება, ხოლო დედმამა კი თვალს-  
ცრემლიანი ავრე ადგილათ ვერ მიანებებდა შვილს და  
გულდაწევეტილი დაეძებდა უველგან.

ერთხელ მამა მოდალული ძებნით მივიდა ერთ

დიდ გადატეხილ სესთან და ზედ ჩამოჯდა. ერთბაშათ  
მოქმა, რომ ამ სის ფუღუროში რაღაც ჩუჩუნებს;  
ჩაერ სელი და ბავშის თავი კი ნახა.

ეს იეო იმის პატარა ელიზბერი, უწმელუსმკუ-  
ლი, მისუსტებული. მამამ ფრთხილათ ამოიუქანა ფუ-  
ღუროდან უმარვილი და სისლში მიიღება. რამდენსა-  
მე დღეს უმარვილი გამოყეოდა და დაიწეო ლაპარაკი.

— ჩემთ ბიჭიკო, რასა სწავლდი ამ ერთ გვირა-  
ში? ჰკითხა დედამ.

— სილს გმოულობდი და იმსა ვწამდი

— მერე არა გციოდა, სად იმინებდი.

— იმ სის ფუღუროში მემინა. ჩემთან ერთად  
ემინა სოლმე ერთ დიდ მოწითანო მაღლის, რომელიც  
ჩამენუტებოდა და თავისი ბეჭვით მაღლიან მათბობდა.

დედ-მამამ გაკვირვებით ერთმანერთს გადახედეს.  
ამათ სოფელში მოწითანო მაღლი არავის ჰქებდა.

მეორე დღეს დაბთვალიერეს ფუღურო, რომელ-  
შიაც იპოვნეს უმარვილი და ნებეს რომ იქ დათვის  
ბუნავი უოვილიერ.

აი როგორი მასანიძლობა გაუწია პატარა ბიჭი-  
კოს დათუნიამ.

ანიკო.

(თარგმანი ქურავსკადან).

# ჩემ ხიტებას გერ გავტებ!



ჯიმას მოსუცებულ ბიძას შემო-  
აკვდა მეზობელ თემის ერთი  
უმაწვილი კაცი.

ინდოელების წესით კაცის  
მოკვლისთვის იხდიდენ დიდ ჯა-  
რიმას და მართავდენ დიდ წევულებას, თუ ამ  
წესს გერ შეასრულებდენ უნდა შეუწირათ რო-  
მელიმე კაცის სიცოცხლე.

ჯიმის მოკეთები ძალიან ღრმასინი იყვნენ და კერ  
შესძლებს ოთხასი თქოს გადახდა. ჯიმმა დააპირა  
ფეხით ძალიან ჰირს წასვლდა, რომ სადმე მუშაობით  
ეშვაგნა ფული და ამითი დაქსნა თავი, თორებ მთე-  
ლი თემი გახდებოდა ამის პასუხის გამცემი.

განრისხებული მტერი კი აჩქრებდა ჯარიშის  
გადასხდას. თემსა დაიბარა ჯიმი და აკისრებანა, რომ  
თუ მოსუცის მაგივრათ ჯარიმას არ შეიტანს უნდა  
თვითონ პასუხი გასცეს მთელ თემს.

ვადა დაუდეს შემოდგომაძის, მაშინ კი თუ ჯა-  
რიმას გერ გადიხდიდა ჯიმი უნდა დაეხვრიტათ.

ბრწეინგალე გასაფული იდგა. ბუნება დღესა-

წაულობდა. ჯიმის თემი კი ნადგლიანად იქო, მე-  
ტადრე მისი ბიძა.

ემაწვილი კაცი თითქოს არაფრად აგდებდა ამ  
ამბავს, მოაგროვა თავისი ცოტაოდენი ბარგი და გა-  
უდგა გზას, შორს სადმე სამუშაოდ მაღაროებში წავიდა.

მუშაობის დროს იქ იწამა ქრისტე ღმერთი და  
სხვა მუშებთან ერთად უოველ დღელოცულობდა სოლისე.

დადგა შემოდგომა, გაუგითლდა ფოთლები, ჯიმმა  
დააპირა თავისიანებში დაბრუნება.

ახალმა ამხანაგებმა დაუწეუს თხოვნა, რომ მათ-  
თან დარჩენილი იქო.

— თუ მე არ დავბრუნდები, ჩემ მმას დაბვრეტენ.  
მე მაგას კერ მოვითმენ. სიტყვას კერ გავტეხ. უნდა  
უსათუოდ სახლში დავბრუნდე.

— რითი გიშველოთ, ეკითხებოდენ სელმოკლე  
ამხანაგები, — რომ წახვიდე სომ დაგწვრეტენ.

— მართალია, სიკვდილი მომელის, მავრამ ჩემ  
სიტყვას კერ გავტეხ, დაუინებით ამბობდა ჯიმი.

— მოიცადე აქ, თვითონ მოგიკითხავენ.

— ჩემი თემი ღარიბია. ძვირათ დაუჯდებათ ასე  
შორს რომ გამოგზავნონ ჩემ მოხაკითხათ.


— მერე თქვენებს არ ეშინოდათ რომ ასე შორს  
წამოხვედი? სომ შეგეძლო გაგცეული იავი.

— ისინი დარწმუნებული არიან ჩემ სატიოსნო  
ბაში.

გამოსალმების დროს ჯიმმა უთხრა ამხანაგებს:  
 — აბა, ვინ მოინდომებს სიკვდილს, მაგრამ მე  
 ჩემ სიტყვას გერ გავტე და თემს სირცხვილში გერ  
 ჩავაგდებ.

(ფრანგულიდან)

ტასლ.



## დაღუპული ქალაქები.



გულგანები, ანუ ცეცხლის მფრქვეველი მთები, ძლიერ ბევრია დედმიწაზე, \*) მხოლოდ სუველა კი არ მოქმედებს, მოქმედებს კ. ი. თავის შეა გულიდან ამოისვრის ხოლმე თოთქლს და ლავას (ცხელ სითხეს). არის ისეთი გულგანები, რომელიც უწინ, სულ უწინ, მოქმედებდნენ, ახლა კი მარტო სახელი აქვთ გულგანისა და ისეც დამქრალ გულგანს ეძახიან. ნამდვილათ გერ გიტევით, რომ ეს გულგანები გამქრალნი არიან. არის გამქრალი გულგანები, რომელი თაც შეუძლიათ მალა გამოიჩინონ, გამოიღვიმონ, თავის ძილს თავი დაბინებონ. რა სამინელია მათი გამოდვიძება ამას ბევრი მაგალითები მოგვითხრობენ. რაც უფრო სანგრძლივია მათი ძილი, მით უფრო სამინელია მათი გამოდვიძება.

ნეაპოლი, მშვენიერი სიცილიის ქალაქი, განთქმულია თავის სილამაზოთ. აი მის ახლო, ესე თცა

\*) ვულგანებზე იხილეთ № VII, „ჯვარი“ 1907 წლისა.

ვერსის მანძილზე იმუოფება შავი მთა ვეზუვი; ეს ვულგანია. მის თავზე ერველთვის დაინახავთ ოეთო კვამლის, დამე კი ნეაზოლიდან ხშირათ ხდავენ, როგორ ანათებს ჯერ კიდევ გაუცივებელი ლავი. გერონტებათ გადგიებული ნახშირი ჰქონდება.

მთის მირას არის გაშენებული სოფელი რეზინა. ეს სოფელი ანაშენია გაცივებულ ლავაზე.

სულ უწინდევლ დროში, თვით ამ ადგილს იუო გაშენებული რომაელთა ქალაქი გერგულ ან უში. იმ დროს ვეზუვი არ მოქმედობდა, მას ეძინა დროში მილით. სრულებით არ მოელოდენ მცხოვრებლები იმ სამინლებას, რომელიც გადახდათ მათ თავზე. არც კი უფიქრია ვისმეს, რომ ეს მთა ვულგანია. თუ მოინახებოდა ვინმე, რომელმაც იცოდა რომ ეს მთა ვულგანია, ეგონა, რომ მას მოქმედება აღარ შეუძლია, დამქრალია.

მთის ფერდებზე გაშენებული იუო მშვინიერი ბალები, მთის წვერზე დაინახავდით, მოგვითხრობენ ისატორიკოსები, გაუკლელ ტშეს, თვით პრატერშიაც ამოსულიუო ხეები. ეს პრატერი ისეთი განიერი და დიდი იუო, რომ ვაკეს მოგაგონებდათ, რომელსაც გარს არტეია მაღალი და ციცაბი მთები.

ამ მთას რომაელები ეძახდენ სომბას. მასში იმალებოდენ ავაზაკები და გზა დაბნეული მონაბი.

აი ამ ვულგანმა გაიღვიძა. გაისმა მიწის გვრინვა,

მიწა ინმრა, მთები შეირევნ, შენობები,—რომელნიც არა ერთი ათეული წლისა იღვენ მაგრად და მკვიდრად—დაინგრა. მცხოვრებლები შეიძით მოცულნი გარა ბოდენ აქეთ-იქით. მაგრამ ეს იუ მარტო ჰირველი მერცხალი, მომაგალი უბედურებისა. უოგელისფერი დაწენარდა, თავის კალაპოტში ჩადგა. მცხოვრებლები დაბრუნდნენ თავის ქალაქში.


### 16 წელიწადი გავიდა.

მიწა ისევ ინმრა. გაისმა გვრინგა, ქუჩილი, მიწა ჩაინგრა ალაგ-ალაგ. გაისმა აფეოქების ხმა. ვევ ბერთელა ქვები და მთელი კლდეები ააფეთქა რაღაც მალამ, დედა-მიწის გულში შეკრებილმა. შავი კვამლის სვეტი დაადგა მთას. ეს სვეტი ცას ფარავდა და ბურავდა მთელს მთას. მთელი არემარე წევდიადით იუ მოცული. ფერფლი და მტვერი წვიმასავით მოდიოდა მიწაზე და ჭყარავდა მთის ფერდოებს და მიდამოებს სქელ შავ ჯერკმით. ორთქლი იმოდენა ამოდიოდა, რომ უცებ ივსებოდა დოუბლით და საძინელ ნიაღვრათ გადმოსეთქდა დედა-მიწაზე. ამ წელიდან და კიდევ იმ წელიდან, რომელიც ამოსეთქა დედა-მიწამ უზარმაზარი მდინარე შესდგა. წეალი ფერფლთან ერთათ შეერთებული თხელ ტალახათ იქცა და გადაეფინა მთის ფერდოებს რაც კი შეხვდებოდა გზაზე ამ ტალახს გადაივლიდა მთაზე და გადარეცხავდა. ამ მდინარემ მიახწია რომაელ ქალაქ ჰო მა ერა ს, რომელიც მდებარეობდა სომმის მეორე ფერდზე. რამო-

დენიმე წეუთის განმავლობაში ქალაქი აივეო ტალას  
ხით, მცხოვრებნი ჩაიხვრჩნენ ტალახის მდინარეში. ამ  
ტალახის მდინარეს მოსდევდა უფრო საშინელი მდი-  
ნარე, ცეცხლის მდინარე—გამდნარი ლავა, მართა-  
ლია ეს მდინარე უფრო ნელათ მოდიოდა, მაგრამ  
მისი წინსვლა უფრო ამაოხოებელი იყო. ამ მდინა-  
რემ წალეჭა გერგულანუმი, გადაიარა ეს ქალაქი და  
ზღვამდის მივიდა.

დაწენარდა არე-მარე. ჩადგა ქარი, გაიფანტა ფერ-  
ფლი, გაიწინდა ჭარი და განცვიფრებულ რო-  
მალებს სომმას ადგილზე წარმოუდგა ახალი შავი  
მთა. უწინდელ სომმისაგან მარტო ერთი გვერდიდა  
დარჩენილიერ. უმეტესი ნაწილი ამ შავი მთისა ჩან-  
თქა დედა-მიწამ და მის ალაგას გამოჩნდა ახალი მთა  
—ჰატარა კრატერით წვეროზე, საიდანაც ადიოდა  
წელის ორთქლის თეთრი სკეტი.

ალ. ფალავასი.



## ପାତ୍ରାଳା ଲୋକସା.



არიამობისთვის სადამოა. იმერეთის  
ერთ პატარა სოფელს, რომელიც ლა-  
მაზად შეჰვენილია ამაღლებულ მთა-  
ტეიან ადგილზე, - დანათის სავსე  
მთვარე. ალექსანდრე ჩაუთამის სახლის აიგანზე, რო-  
მელიც მაღლობიდამ დაუკრებს უფრო დაბლად ძღვ-  
ბარე ეზოს, სდგას ალექსანდრეს ცოლი და რიკულებზე  
გადაწოლილი დაჭურების მთვარით განათებულს თა-  
ვის დიდ ეზოს, ეზოში კი ბავშვის აურზაური და  
ქვილ-ხივილი დგას. აგერ თრი თვეა ალექსანდრეს  
ოჯახი ქალაქიდან საზაფხულოთ სოფელში ჩამოვი-  
და თავის სამი შეილით. ეოველ საღამოს ახლო-მა-  
სლო ეზოებიდან სოფლის ბაგშები თავს იურიან ამათ  
ეზოში და თავისუფლად, მსიარულად დროს ატარებენ.  
სოფლის ბაგშები მოელი დიდი ზაფხულის დღე თა-  
ვის ოჯახის საქმეებში გართულნი და სიცხით შეწუ-  
სებულნი, როგორც შეღვდება, მოექარებიან ამ ეზო-  
ში, სადაც მათ მოელის სამი შსიარული და მოუკა-  
რული პატარა მასპინძელი. არა ნაკლებ მოუთმენლად  
მოელიან საღამოს ხტუმრებს მათი შსპინძლები მთელ

დღეს საშიგე იმ ფიქრში და ბასში არიან, თუ როგორ გაართონ საღამოს სტუმრები, რა სიამოვნება აჩვენონ იმათ. ხან ქანჯეტებს დაახვედრებენ, ხან სხვა და სხვა მურაბებს, ხან ქალაქიდგან მოტანილს. სოფლის ბავშვებისათვის უცხა სათამაშოებს ამოულავებენ კალათებიდგან. სამაგიერო სოფლის ბავშვები ასწავლიან იმათ ათასგარ სოფლულ თამაშობას: ბურთალბას, დამალიას, ქორ-ბუდეობას, ფერხულს და სხ. ამ ნაირად, როგორც სტუმრები, ისე მასპინძლები დღის სიამოვნებით და შეიარულად ატარებენ საფამოებს. აი ეხლაც შეგროვილი ბავშვები ქორ-ბუდეობას, თამაშობენ. მათი კივილ-ხივილი აღვიძებს და ამხარულებს მიმინებულ ბუნებას. დედა კი დგას აიგანზე და როგორც მუსიკის მოუვარული კარგ მუსიკას. ისე სიამოვნებით უურს უგდებს ბავშვების სიცილ-მხარულებას.

— ქალბატონო, ცხრა საათია, ბავშვების მილის დროა! თქვა ოთახიდგან გამოსულმა ბავშვების მომულელმა დედა-კაცმა—მაიამ.

— ვაცადოთ ცოტა, მაია! გესმის რა შეიარულად თამაშობენ? ცოდვაა, ეხლა მათი სელის შემლა.

— მე რა მენაღვლება, მაგრამ გვიანკია. სეალწირვაზე მინდა წავიუგანო და ადრე ვეღარ ადგებიან.

— მაშ კარგი! უპასუხა გამდელს დედამ და გასმასა ბავშვებს: ბავშვებო! მილის დროა გეგოვათ თამაშობა გამოესალმეთ ერთმანერთს ხეალამდისინ.

ბავშვების სმაურობა შესწედა.

— არა, ღება, ცოტა კიდევ გვაცადეთ! მოისმა ეზოდან უფროხი, შეიდი წლის გაუის, ოეზიეოს, ხმა.

ამ დოოს აივანზე შემოიჭრა სუთი წლის პატარა ქალი. შევი დიდო ანი თვალები გაბრწყინვებული და გამხიარულებული ჰქონდა, ლოუები გაწითლებული და შავი გრძელი თბა აწერილი. მივარდა და პატარა სელებით მოეხვია ღებას.

— ღება, შენი ჭირიმე, ცოტა კიდევ დაგვაცა ღება. ჩვენ ისე მხიარულად ვთამაშობთ; ძილი როგორ შეიძლება ეხლა? ცოტა ხანს კიდევ დარჩნენ ბავშვები, თუ გრუვარდე, ჩემო ღებიკო!

ღებამ ვეღარ უთხრა უარი თავის პატარა გოგონას.

— მაშ კარგი, ნახევარი საათი კიდევ ითამაშეთ და როგორც დაგიძახოთ, მაშინვე გამოიქციოთ არია გე. თინა კი ესლავ გამოგზავნეთ, პატარაა და დაიღალება.

— არა, ღება, თინაც ძალიან მხიარულათ არის. ისც ჩვენთან იუოს და სამიუე ერთად ამოვალთ დასამინებლად. ნუ გემინა, მე მოუვლი თინას! დარბაისალად უთხრა ღებას პატარა ლირსამ და მერცხალივით ჩასრიალდა კიბეზე.

ლირსა სისარულით შეუერთდა ბავშვებს და გადას. ცა დედის ნებართვა, მაგრამ ბავშვებს თამაშობა აღარ ეხერხებოდა. ბევრი სირბილისაგან და მხიარულობისაგან დაფალვას გრძნობდნენ. ზოგი იქვე გამლილ



ჭილობზე წამოგორდა, ზოგნი კი პირდაპირ მწვანე კოლინდარზე ჩამომწკრივდნენ. მათ ზეიდან სავსე მოვარე დასცექორდა და ანათებდა მშვენიერ ბავშვების ჯგუფს. სამი წლის თინას თავის ხუჭუჭი თავი ლირსას კალთაზე ედო და პირდაპირ მოვარეს შესცექორდა.

— შეხედეთ, ბავშვებო, მოვარეს! ჩემ ევითელ ბურთზე რომ კაცის თავაა დახატული, მოვარე იმას არა ჰყავს? არა? იკითხა თინამ.

— ბურთს კი არა და! მოვარე და მზე, თურმე, და-მძანი არის. დღე მზესა აქეს თავი გამოუოფილი ცის ფანჯრიდან და დამე კი, როცა მმა დაიღალება და დამინებს, მოვარე გამოუოფს თავს ფანჯრიდგან და ის გვინათებს. მავრამ, რადგანაც და ზარმაცია, ხშირად მიღს მიუცემა ხოლმე და ფანჯრაში იმიტომ აღარ მოჩანს, და ჩვენ ბნელაში გვტოვებს. თქვა კოლინდარზე წამოგორებულმა რვა წლის სოულის ბიჭმა — გიორგიმ.

ამ სიტყვების გაგონებაზე, იქვე მწოლიარე რუზიკო წამოჯდა და დინჯათ დაიწეო. — ეგ თქმულიაბა სულ ტეუილია, გიორგი! მე კი დედამ მითხოა, რომ მოვარე დიდი, ძალიან დიდი ბურთია, ჩვენგან ძალიან მორს არის. ის იმისთანაა, როგორც ჩვენი დედა-მიწა და დედა-მიწის გარშემო ტრიალებს. სინათლე მთვარეს მკრთალი აქვს, რადგანაც თავის საკუთარი სინათლე კი არა აქვს, მზიდგან ღებულობს სინათლეს. მზე კი ბევრათ უფრო დიდი ბურთია, რომე-

ლიც მუდამ ცეცხლ-მოკიდებულია და ბევრი სინათ-  
ლეც აქვს და სითბოც მთვარე დედამიწას გარს უტ-  
რიალებს; დედა-მიწა და მთვარე კი ერთად მზეს უტ-  
რიალებენ გარშემო. ახლა ეს ვიცი და ოცა გიმნა-  
ზიაში შევალ, მაშინ კიდევ მეტს შევიტუობ მზეზედაც  
და მთვარეზედაც.

— გიორგიც შეიტუობს, ოცა სკოლაში მიება-  
რება! თქვა ლიტერატ. ხომ მიებარები, გიორგი, სკო-  
ლა?!

— რა ვიცი. აქ სკოლა არა გვაქვს და ქუთაის-  
ში ჩემ გასაგზავნათ მამას ფულები ვინ მისცა... მე  
კი მალიან მინდა სწავლა.

ბავშვებში სიჩუმე ჩამოვარდა.

— მე რომ დიდი გავიზრდები და გიმნაზიას გავა-  
თვებ, მასწავლებლათ გავხდები და აქ სკოლას გავ-  
ხსნი. თქვა ლიტერატ სიჩუმის შემდეგ. მაშინ უველა ამ  
სოფლის ბავშვები ჩემ სკოლაში ისწავლიან.

— შენ რომ გიმნაზიას გაათავებ, რა დოოს ჩემი  
სწავლა და იქნება, მე ხომ მამინ უშველებელი დიდი  
ვიქნები. ნაღვლიანად თქვა გიორგიმ.

ლიტერატ მალიან შეწუხდა და ჩაფიქრდა. ბოლოს  
მოიფიქრა.

— მაშინ შვილებს გასწავლი.

ბავშვებს გაეცინათ. ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— იცით, ბავშვებო, ცოტა სის სიჩუმის შემდეგ  
თქვა თორმეტი წლის გოგო ფოტინემ: სვალ მარია-

შობა არის, ჩვენ საედარში წირვა იქნება, წირვის შემდეგ კი იქვე მოიდანხე ცეკვა-თამაშობას გამართავს. დილით შევიურნეთ უველანი ამ ეზოში და ერთად წავიდეთ წირვაზე. კარგი?

— ძალიან კარგი! ძალიან კარგი! დაქთანხმნენ სუჟექტანი.

— მე ჩემ ახალ კაბას და ახალ ჩუსტებს ჩავიცა ვამ. თქვა ათი წლის მარომ.

— მე რომ არა მაქტს ახალი ტანისამოსი? გულადწევეტილად ამოიკვნესა შვიდი წლის თოდიამ.

— შენ რეზიკო მოგცემს წითელ სალათს და ის ჩაიცვი. გარდასწევიტა ლირიამ. არა, რეზიკო? ხომ მისცემ თოდიას სალათს?

— რასაკვირველია, მივცემ. დარბაისლად უპასუხა რეზიკომ. მე ბევრი სალათები მაქტს, რათ მინდა იძღენი?

— ვაი, თინას დასმინებია! უცებ წამოიძახა ლირსამ, რომელმაც მსოლოდ ეხლა შენიშნა, რომ იმის კალთაში ტყბილად ჩასმინებოდა პატარა თინას—თინა! თინა! ვაიღვიძე! წამოდი ლოგინში დაწექი!

მაგრამ დაღალულ თინას ისე მაგრა ჩასმინებოდა, რომ გეღარ გამოაღვიძეს.

უძაწვილები აიძალნენ, თინას გარს შემოესვივნენ და არ იცოდნენ რა ექნათ მძინარე ბავშვისთვის. მაგრამ რეზიკო გაქცეულიერ კიდეც სახლში და მოჭეავა და მარა თინას წასაუვანად.

მაია გაჯავრებული ბუტბუტებზე:

— სახლში წასვლას აღარ მოიფიქრებთ, შეადა  
მებ, დაქმინებოდა, მაში რა დაქმართებოდა სამი წლის  
ბავშვის, ცუდლუტებო, მოუსვენრებო!

ბავშვები დარცხვენით ერთმანერთს გამოესალმნენ  
და დაიშალნენ.

მეორე დილას, წირვის წინ **10—15** სოფლის  
ბავშვი შეგროვდა ისევ ალექსანდრეს ეზოში. უკელა  
მათგანს საუკეთესო ტანისამოსი ჩაეცემთ და სახეზე  
დაც სადღესასწაულო მსიარულება ეხატებოდათ. აივ-  
ნიდან ჩამოირბინეს თეთრს ტანისამოსში გამოწეო-  
ბილძა რეზიკომ, ლირსაძ და თინაძ. ბავშვები ერთა  
მანერთს მიესალმნენ და ერთმანერთის ტანისამოსის  
თვალიერება დაიწევეს. იქვე ბავშვებში ტრიალებდა რე-  
ზიკოს წითელ სალათში გამოწეობილი პატარა თო-  
რია.

რეზიკოს, ლირსას და თინას თავს დასტრიალებ-  
და და ხან ტანისამოსს და ხან თმებს უსწორებდა  
მაია გამდელი.

— აბა, ეხლა წავიდეთ, ემაწვალებო! თქვა მაიამ,  
როდესაც უკელას თვალი გადავლო. უცებ ლირსაშ  
თვალი მოჭრა ათი წლის გოგოს დახეულ ჩუსტებს.

— ჩატია, რათ ჩაგიცვამს დახეული ჩუსტები? ახა-  
ლი კაბა და დახეული ჩუსტები გაგონილა! შეწუხუ-  
ბული ხმით ჰქითხსა ლირსაძ.

— მე, გენაცხალე, არა მაქვს ახალი.

— დახეული არ შეიძლება, ახალი უნდა ჩაიცვა! რეზიგო, რავჭნათ, ჩატიას დახეული ჩუსტები აცვაა?

— რა უნდა ვჭნათ, ახლა ხომ ახლებს ვერ ვი-  
უდით? აგრე უნდა წამოვიდეს, თქვა მაიამ. აბა წა-  
მოდით ჩქარა, წირვის კიდეც დარეკეს.

— არა, დახეული ჩუსტებით ჩატია ვერ წამოვა,  
უნდა ახლები ჩაიცვას! ახლა კი ტირილის ხმით სთქვა  
ლირსამ

— რა მიშავს, გენაცვალე, მე ფეხშიშველიც ხში-  
რად დავდივარ! არა მიშავსრა. წაკიდეთ! ეხვეწებოდა  
ჩატია ლირსას.

ლირსა კი მაღანან შეწუხებული იდგა და ჩაფიქ-  
რებული ჩატიას ჩუსტებს დაჭეურებდა, ბოლოს რაღაც  
მოიფიქრა, ჩაჭკიდა სელი ჩატიას და სახლისაკენ ეზი-  
დებოდა.

— წამოდი, წამოდი ოთახში! ჩემი მეორე ფეხსაც  
მელები ჩაიცვი, ისიც ვერ სულ ახალია!

ბავშვებს სიცილი წასკდათ.

— ვერ სედავ, ჩატიას რა დიდი ფეხები აქვს? შენი  
ფეხსაცმელი მაგას როგორ ჩემტევა!

— არა, წამოდი, წამოდი, გამინჯე! ჭირვეულობა  
და ლირსა.

ლირსას დასამშვიდებლად ჩატია წაჭევა ოთახში.  
ლირსამ გამოალაგა თავისი ფეხსაცმელები, გაახდევინა  
ჩატიას ფეხთ და თავის სელით დაუწეო ფეხსაცმელების  
შინჯვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამის ერთ ნამცენ ფეხსაცმე-

ლებში ჩატიას ფეხის თთებიც კი არ ეტეოდა. გაწით  
ლებული, თვალებზე ცრემლები ძორეული, მალით აცა  
მევდა ლიტერატურას ფეხსაცმელებს და დიდ შრომაში  
იყო, როდა თთახში დედა შემოვიდა.

— რა ამბავია? რა გატირებს ლიტერატურას დე-  
დაბ.

— უგელას ასალი აცვია და ჩატიას კი დახეული  
ჩუსტები უნდა ეცვას! ჩემ ფეხსაცმელებში ფეხი არ ჩას-  
დის! რა ვქნა? ატირებული სმით შესჩივლა ლიტერატ  
დედას.

— ჩემი ფეხსაცმელები ჩატიას კარგად მოუვა და  
ისინი ჩაიცვას, უთხრა დედამ და თავის თთახიდან მკუ-  
ლი ფეხსაცმელები გამოიტანა და ჩატიას მიაწოდა.  
აბა ჩაიცვი, ჩატია, ჯერ კიდევ ახლებია და კიდეც  
გამოგადგება.

— დედა, ჩატიას მელები რათ უნდა? ასალ კაბა-  
ზე მკული ფეხსაცმელები არ შეიძლება. შენ ასალ  
ფეხსაცმელებს მოუტან ჩატიას, თქვა ლიტერატ და თვა-  
ლის დახამსამებაზე გავარდა მეორე თთახში, დედის ასა-  
ლი ფეხსაცმელები, გამოარბევინა და ჩატიას მიაწოდა.

— აბა, ჩატია, ჩაიცვი! ხედავ, რა კარგად მოვი-  
გონე! ეხლა შენც ასალი ფეხსაცმელები გაცმევა.

ჩატიამ მორცხვად შესედა ლიტერატ დედას და ფეხსაც-  
მელების გამორთმევას ვერ ბედავდა. ამ დროს მაიაც  
შემოვიდა. ეს ამბავი რომ დაინახა, მივარდა ლიტერატ  
და ფეხსაცმელები ხელიდან გამოგლიჯა.

— დედის ახალი ფესსაცმელები ჩატიას უნდა ჩააცება? ძველები კი არ გააღრება? შეუტია ლირსას მაიამ და ფესსაცმელები გამოართვა.

— არ უნდა ჩატიას ძველი. ახალ კაბაზე ძველი ფესსაცმელები რათ უნდა? დედის ფულები აქვს და კი-ზუვ იუიდის ფესსაცმელებს. მომეცი ბაშმაკები! დედა, უთხარი მაიას, ბისცეს ჩატიას ბაშმაკები, აღელვებული და ტირილის ხმით ეხვეწებოდა ლირსა დედას.

— მიუცი, მაია, ჩატიას ფესსაცმელები, უთხრა დედამ.

— ლირხა, გენაცვალე, ძველებს ჩავიცვამ, არა მიშვისრა, არ მინდა ახალი! ეხვეწებოდა პატარას ამ ამბებით შეწუხებული ჩატია.

— ახალ კაბაზე ძველი ფესსაცმელები არ შეიძლება, ჩაიცვი ახალი, დაიჟინა ლირსამ — უთხარი, დედა, ჩატიას, ახალი ბაშმაკები ჩაიცვას. მე ახალი მაცვია, რეზიკას, თინას, ეველა ბავშებს ახლები აცვიათ და ჩატიამ კი ძველები უნდა ათრიოს? ჩაიცვი ჩქარა, ჩატია, უნდა ჩქარა წავიდეთ წირვაზე. და მალადატანებით დასჭა და ჩააცმევინა დედას ახალი ფესსაცმელები. მერე ახალ ფესსაცმელებში გამოწეობილ ჩატიას ხელი წაავლო და გამოიუვანა ეზოში. ლირსას კმარიფილებით სახე უბრწეინავდა და ამაუგათ შეჰურებდა ჩატიას ფეხებს.

— შენედეთ, ბავშებო, რა კარგი ფესსაცმელები აცვია ჩატიას! ახლა კი წავიდეთ, ჩქარა, თქვა ლირსამ,

ჩაგვლო ერთი ხელი თინას, მეორე წითელ ზალათით  
 გამოწეობილს პატარა თოდიას და გასწია საჟდოისა-  
 კინ. დანარჩენი ბავშვებიც მხიარულად გაუდგნენ გხას.  
 ჩატია სშირად იხედებოდა თავის ასალ ფეხსაცმელებზე  
 და ტუჩებზე სიამოვნების ღიძილი უთამაშებდა. უკან კი  
 მისდევდა იმათ მარა და გაანჩხლებული ბოტბუტებდა,  
 მრისსანე თვალებს ჩატიას ფეხსაცმელებს რ აშორებდა.

ვ.



# ამბებ ზოოლოგიური ბაღში მცხოვ- რებლებისა.

1.

თეთრი დათვი.



მთვარე მწუხარეთ დასცექ-  
როდა ზოოლოგიურ ბაღის რკი-  
ნის მავთულიან ჩატარა ფან-  
ჯრების.

საძინელი შეხუთული ჭა-  
რი, ვიწროობა და სისამაგლე  
მეფობდა ამ პატარა ჩარდასებ-  
ში, სადაც ჩამწევდეულნი იუ-  
შნენ ძლიერნი თავისუფლების  
დროს, დღეს კი ტუგეობით დაუძ-  
ლურებულნი ტუის გმირები.

მთვარე ოდნავ ბუგტავდა, საძინელი ეინჯა იღვა და-  
მე მოცული იყო რაღაც იდუმბლი მწუხარებით.

— მოუწი სიცივეებ! გაჲეინე არე-მარე, სხეულა  
ჭამთარო!

— გაღმუდა თეთრი დითვი — თოლია, რომე-  
ლიც მარტოთ-მარტო ის იმუოფებოდა ჭარზედ.

— რატომ აქაც ისეთი ძრიელი და ღონიერი  
არა ხარ, როგორც ჩემ სამშობლოში? ღმუდა დათვი  
თოლია.—ოხ, სადა ხარ ჩემო საუკარელო, ჩემო ნუ-

გემო, ჩემთ ძვირფასო, სამშობლო მსარევ! შენ ხომ არ იცი, რა არის აბეზარი ცხელი მწე! შენში გამეუყებული არიან წევდიადი ღამეები, ძლიერი უინგები და სასტიკი სიცივე!

— უანგა მეფეობსიო! ოს, რა საზარელია! დაიღ-რიალა ვეფხმა.

— შე სულელო! საზარელი არის მარტო სიცუ ხე, რომლის ატანაც მე არ შემიძლიან!.. განა შენ შეგიძლიან იგრმნო ჩვენი ქვეუნის სიმშვენიერე, თვალ გადუწვდენელი, უღველთვის დათოვლილი, ვაკე, უსამ-ზღვრო ოკეანე, რომელზედაც დაცურავენ უინულის კუნძულები და უინულის მაღალი მთები, უველა ამას თავს დასცექერის ჭარსკვლავებით ბრჭყვიალა და მოკაშვაშებული დამე.

ჰატარობისას მე და ჩემი მმა ვცხოვობდით ერთად. ჩვენთვის ზრუნავდა ჩვენი საუვარელი დედა. მუდმივი ბინა ჩვენ არა გვჭონდა. ჩვენ ვცხოვობდით სან ერთ ეინულის თოშზედ, სან მეორეზედ. საზრდოს სამოვრათ შორის არ მივდიოდით: იქვე ჩავტენავდით ჩვენი ტოტებით უინულს და აუარებელ თევზეს გიჭვრდით. სულ ორა-გულის ოდენა თევზებს ვმოულობდით. თევზი რომ მოგვწეინდებოდა, მერე ლომ-თევზების ანუ ზღვის მაღლების დასაჭერათ წავიდოდით. ავრეთვე პირს ჩავიგემოიელებდით ვემანის ხორცით, რომელსაც ნა-ჰირს გადმოურიდნენ მონადირეები მიმავალი გემე ბიდან.

— ერთ დაბეს ჩვენ და დედა ვისწერით აღმართ-დაღმართიან გაეინულ ციცაბოზედ, ტალღები ზღვისა-გვინ გველალებოდნენ.

— ეს რა ამბავია? გაკვირვებით შევეკითხეთ დედას.

— თქვე სულელებო, შეხედეთ კარგათ, ეს არის ჩრდილოეთის კაშკაში!

მოძავებულ ცაზედ დიდ რეოლებივით გადაეკრა ნათეული სხივები, ოომლებიც აქეთ-იქით იფანტებოდნენ, და ამ დროს ფერს იცვლიდნენ, ეს სხივები გარს შემოეფინებოდნენ ცეცხლოვან სირგვლეს, ერთად გაჩაღდებოდნენ და ცა ინთებოდა უოველგვარ შეიბლავ ცეცხლით: ამ შუქზედ ეინული და თოვლი ანდამატივით ბჭყაინამდნენ. დედამიწა ძვირფას ძეგბსავით ბრჭყაინავდა; თვალს ვერ უძრერებდათ. დამე ნათელი იქო, როგორც დღვე. დედა ჩემი ციცაბიდან გადახტა.

— ჩუმათ, შვილებო, ნუ გეშინიათ! ჩაგვიჩურჩულა დედამ — როგორც გირჩიოთ ისე მოიქეცით; ადამიანებისა ნუ გეშინიანთ: ისინი სომ ჩვენთვის საშიში მტრები არ არიან! მინამ არ გაგიჭირდეთ სელს ნუ ახლებთ, იმითი ხორაგეულობით კი ისარგებლეთ.

დედა ჩემი მალმალ შედგებოდა, ცხვირს აქეთ-იქით მიიღებდა, ჭარს სუნავდა და მერე უფრო გაბედვით გზას გაუდებოდა. მალე ჩვენწინ გამოჩნდა რამდენიმე დათოვლილი მოძალო ქოხი. შიგნით ჭრაქის სინათლეზედ, ირმის ტავში გასველნი კაცები ცეც-

ხლზედ გაეინულ სელებს ითბობდნენ; ქოსებთან იდა გა კასრები ვეძანის ქონით საჟსე, ჩვენი საუკარელი საჭ-მელი. ერთი ტოტის დაკვრით დედამ კასრს მირი გააგდე-ბინა და ჩვენც სარბად დაგეწაფეთ ახალ და გემრიელ ქონს. ქოხში რაღაც ჩახქოლი დაიწუქს, დედამ ჭა-მას თავი დაანება, ამიუვანა მე და დაეძვა დაღმართ-ზედ, თან წინ ქონით კასრს მიაგორებდა. მე დარ-წმუნებული ვიუავი რომ დედახემი მშიშარა არ იუო, ხულ ადვილათ მოერეოდა განა თუ მარტო კაცსა, არამედ დიდ და ღონიერ ნადირსაც: მაგრამ ესლა ჩვენთან ერთად რაკი იუო ჩვენი სივათში ჩაგდებისა ეშინოდა.

გზაზედ ორი კაცი შეგვხვდა ვეძაზე მონადირე, რომლებიც სიცივით და შიშით კანკალებდნენ.

— ამათ თან წაგიუვანთ? შეეკითხა ჩემი მმა დე-დას.

— რათ გინდა, შვილო, თავი ანებე,—უპასუხა ტბბილათ დედამ.—ჩვენ სიმ მაძლრები ვართ, ესენი რაღათ გვინდა.

დედას მალიან უუკარდით, თუალს ერთს წამსაც არ გვაშორებდა; როცა კი დავიღალებოდით წეალში ცუ-რაობით და სირბილით, უმალვე ავბობღდებოდით დედის ზურგზედ და ასე გვატარებდა.

ჩვენზე კარგათ და მარჯვეთ არავინ იცოდა წეალ-ში ცურა და ეინულზედ სირბილი. ჩვენ ვიუავით გ

შეუქნი თკეანისა და მის ნებირებისა. ადამიანებს და-  
ვუცემოდით, როგო მალიან მშიგრები ვიუბვით, ან თუ  
გულს მოგზაუდინებდნენ სოლმე; სხვა დროს კი სელს  
არ ვახლებდით.

რა საუკარლათ, რა თავისუფლათ ვცხოვრობდით  
მაშინ ჩეენ სამშობლოში! აი, ღრუბლით მოცული მქრა-  
ლი დილა; მზე თითქო ბოლში გამოიცარება, ერ-  
ნულის თომზედ, მზეზედ, თბებიან ზღვის ძაღლების  
ხროვა.

გონივრები არიან ეს ცხოველება, გამჭრიახობით  
გვითვალთვალებენ... მაკრამ ჩეენ იმათზედ უფრო მო-  
ხერხებულნი ვართ. წენარათ, სულ ჩუმათ მივცურდე-  
ბოდით იმ ეინულის თოშის ქვემ, საცა იწვენ და  
ცხვირ წინ ამოუდგებოდით, მაშინ შველა აღარ ჰქონ-  
დათ.

როგო მოვისარდენით და ვიგემეთ თავისუფა-  
ლი ცხოვრება ერთხელ თავს საშინელი უბედურება  
და გვატედა. ეინულების თოშების შეა, ერთხელ ზამთარში  
ვემი შეჩერებულიერ. გემზედ მეოფნი ნაპირს გა-  
მოსულიერენ და თოვლის ქოხებში დაბინავებუ-  
ლიენ. ჩეენ ამათ ახლოს დაგხეირნობდათ,  
უცებ ვემანის ქონის სუნი გვეცა და მაშინვე იქით  
გავექანე ქონის საგემათ; როგორც კი დაუშეეთ ჭამა,  
ერთბაშათ მოისმა საზარელი ხმა, დასისხლიანებული  
დედახემი მიწაზედ დაეცა და ცდილობდა ტანით მე და  
ჩემი მმა დაგვიკარეთ. ჩეენ ვერაცერს მივსვდით და

თოთქოს აქ არაფერი მოხდათ განგარებები ჭამა. როცა ქონი გამოთავეთ და უნდა წავსულიავავით, გაოცებით შეგხედეთ, რომ დედაჩვენი უკრძალვად გედო, და ჩვენ კიდევ კისერში რადაც გვიჰვრდა; ბევრი ვერცხლე კისერი გამენთავისუფლებინა, მაგრამ თოკი მავრათ მქონდა მაჭერილი.

ამის შემდეგ ჩვენ ჩავარდით ტევეობაში, სანამ ოკეანეზედ ვცხოვობდით კიდევ არა გვიძავდარა: მოგვაბაძნენ კისერზედ გრძელ თოკს და ნებას გვაძლევდნენ გემის შორისას გეოფილვიტურით. უთევს დღე ვბანაობდით ეინულიან წეალში და ვგორას ამდით თოვლში. აი სამრარიც გავიდა, დამეუბი და შატარავდა, დღეები გათბა, ალაგ-ალაგ ეინული და იძრა. ჩვენი გემი გაუდგა გზას. ბევრი ზღვები და მდინარეები გავიარეთ, შემდეგ მოგადექით იმ საზიზარ ქალაქს. ჩემი საცოდავი მმა სადღაც წაიუგანეს, მე დამკუტეს ამ ვიწოდ გალიაში. განა ამ გალიას შეუძლიან გამიწიოს თავისუფალი და მშენიერი სამშობლოს მაგივრობა! არა და არასოდეს არა!

— ახ, რა უბედური ვარ, მე საწეალი! განა როდესმე დამიბრუნდება მე ჩემი ბედნიერი ემაწვილობა!... თოლიამ ამ სიტუაციის შემდეგ ისე დაიღმუვლა, რომ ეპელა მხედები გამოაღვიძა.

(რუსულით)

ვ. მიქაბერიძე.



## ანდაზები

(წარმოდგენილი კ. სეხნიაშვილის-მიერ)  
რკინა რკინობას ცეცხლში ვერ იზამს,  
ცეცხლმა მისი წვაც იცისო.

ძალლთ ღრინვა ერთმანერთზედა,  
ღრინვაა გაუმაძლრობისაო.

ღორმა ისეთი რა სჭიმა,  
რომ არ იყოს უგემური და უმსგავსიო.

## ჩარჩა გამოსათავმოლი.

(მისგანვე წარმოდგენილი).

კეტით კატას არვინ აგდებს,  
კატო კი კატას კეტსა ურტყამდა.

## გამომანები.

მინდა გითხრათ გამოცანა  
აღვილი რამ ასახსნელი,  
მგონი ყველა მიმიხვდებით  
რაც მაქვს თქვენთან მე სათქმელი.  
უსულო და უგულოა,  
ცოცხალს იგი არ რათა ჰგავს,  
მაგრამ სწრაფლათ, რაღაც ძალით  
ქალაქებში ხალხი დაჰყავს;

მიღის-მოდის, არ იღლება,  
 გზა რკინის აქვს ქუჩებშია,  
 მითხარით აბა, რა არის  
 ამის მსგავსი თბილისშია?

ერთმა ბაღმა გამაკვირვა  
 და მინდორმა ყარაბაღმა;  
 ბაღმა, მისმა მებალემა,  
 თავი დაბლა, ფეხი მალლა,  
 რომ შეხელოთ ასეთია,  
 თეთრი არის შუა დაბლა.

სახლი ამიშენებია უცულოთ და უნაჯახოთ,  
 შიგა კზიკარ გაჭიმული—ულვაშ გაპიწინებული.

ფაჩი-ფუჩი მიქელაო გამოხტება შიშველაო.

### ანაგრძელება

(წარმოდგენილი მ. ლელა შვილისგან).

პირველი ერქვა მკონანსა  
 ეხლაა მიცვალებული,  
 მისი საფლავით ამაყობს  
 დიდუბე დამშვენებული.  
 მეორე—აკრავს ყველაფერს  
 ტყავთანა მიმსგავსებული.  
 მესამე—წელიწადისა  
 დღე არის მიმატებული.  
 სამივე—ოთხი ასოთი  
 საწერათ მოგონებული.

გ ა ს ა რ თ თ ბ ი.

**კალალი ლაპარაკობს.**

ერთმა ქილმა სოფლელი ბიჭის ხელით თავის ნაცნობ ქალს  
გაუგზავნა ჰატარა კალათით. მშვენიერი მსხლები და ბარათი.  
გზაზედ ჰატარა ბიჭის სულმა წასძლია და ორი მსხალი შეჭამა.

— ორი მსხალი აკლია. შენ შეჭამე, განა? უთხრა ქალმა  
და თვალებში შეხედა მომტანს.

— ვინ გითხრათ?

— აი ამ ქალალდმა...

— შეუძლებელია, რომ მაგას დაეწახა, რადგან ეგ ჯი-  
ბეში მედო, როდესაც აქ მოვდიოდი.

(ფრანგულით)

**კითილი რჩვა.**

აღეგ ექვსზე, ისაუზე ათზე,  
ისადილე ორზე, დაწექ ათზე,  
იცოცხლებ ათჯერ ათსა.

**პირზი გართლის თბა.**

შესანიშნავი სკრიპკის დამკვრელი სოლომონი, დაკვრის  
გაკვეთილებს აძლევდა ინგლისის მეფეს, გიორგი მესამეს: ერ-  
თხელ მასწავლებელმა უთხრა თავის მოწაფეს: სკრიპკის დამ-  
კვრელნი სამნაირნი არიანო: პირველნი, რომელთაც სრულე-  
ბით არ იციან დაკვრაო; მეორენი, რომელნიც უკრა-  
ვენო და მესამენი, ვინც კარგათ უკრავენო. თქვენო უგანათ-  
ლებულესობავ, შეტათ დიდი ხანია მეორე განყოფილებაში  
ითვლებითო.



გამოცანებისა: თხილი, ყინვა, ცხვირი.

შარადისა: კიდობანი.

ამოცანისა: მეცხრე დღეზე ავიდა სულ ზემოთ.



## ე ლ ი ს-ქ ა ლ ი.

(ლეგენდა).



**ა**თარხნო მთაში, აუარებელ მთა-გრეხილ შუა, მანგლისიღგან სოფ. ახალქალაქამდე, მიკულაკნება პატარა ბილიკი, რომლითაც ცხე-  
 ნითაც შეიძლება მოგზაურობა, თუმცა დიდის გაჭირვებით. ეს ბი-  
 ლიკი იმაღლება ხანდახან ორ ახო-  
 ვან მთის შუა, ხან ამოჰყოფს თავს  
 მთის მწვერვალზედ და თავდალ-  
 მართდება მთის კლდიან ნაპრა-  
 ლებზედ და უქადის მგზავრს, თუ  
 ძრიელ ფთხილად ორ იქნება, ჩან-  
 თქმას და საუკუნოთ დამარხვას  
 თვის ჯურლულებში, რომელთა  
 სიღრმეს მგზავრის თვალი არცყი  
 ჩაუწვდება.

მაგრამ ამ გზით მიმავალი მგზავრი მანგლისიღგან ახალ-  
 ქალაქამდე ამ შიშს და დაღალვას იქარვებს გზის მშვენიერების

შდებარეობით. ახოვანი ტყე, თავისის მეფურად გამოჭიმულის, ცამდინ აწვდენილის ნაძვ-ფიქვნარით, მრავალ-შტოვანის მუხებით და მრავალ ფურცლოვან თელებით, თავის იღუმალ ტყის საიდუმლოებით აღსავს ხმებით, მთის ხევებში მოჩუქ. ჩუხე ნაკადულებით და თვალის გამტაცის გადასახედავებით მთის მწვერვალებიდან მთა-ბარზედ, აუარებელის ძველთა ნაშთების დანახვით და ამ ნაშთა ხალხთა გადმონაცემის ნააბბით იყოლიებს გულს და გონებას, ივიწყებს დაქანცვას, აღმართ დაღმართზედ გულის კანკალს, უფსკრულების პირათ შიშის ზარს.

შეტადრე თუ შენი თანამგზავრი გამოცდილი კაცია, კარგად იცნობს ამ ადგილებს და დაწვრილებით იცის ყოველ კუთხის ისტორია და მთა-გორათა მრავალი ცრუ მორწმუნეებით აღსავს თქმულობანი.

— აი, ბატოვო, ი მოტვლეპილ მთას ხომ ხეზავთ, რომლის წვერზედაც მოსხანს ქვითკირის ნანგრევები, მითხრა ჩემმა თანამგზავრმა, მოხუცმა გლეხმა, და დაარღვია ჩემი ოცნებით გატაცებული მდუმარება. იმას ხალხი ეძახის „ელის-ქალი“. მანდ თურმე დასახლდა ერთი ფრიად მდიდარი, ყოველის ღვთის მოწყალებით სავსე და დიდის ცხოვრების პატრონი გლეხ-კაცი. ააგო დიდი, მშვენიერი ქვითკირის დარბაზი, გააკეთა ყოველი საჭირო შენობანი და შიგ დასახლა თავისი ჯალაბი. აბა მდიდარ კაცს სად რა გაუჭირდება, შენი ჭირიმე, და იმანაც გაუჭირვებლივ დაიშუო ცხოვრება იმ ციცაბოზედ. აუარებელი ცხვარი ჰყავდა, რამდენიმე გუთნეული, რაშებზედ უკეთესი საჯდომი ცხენები. პური ბევრი მოსდიოდა და ქერი, ღვინო ბარში დარჩენილი ზვრებიდგან ამოჭქონდა შემოდგომობით.

სუყველას უკვირდა იმისი აქ დასახლება, ამ საშინელ სიმაღლეზედ. და აი თურმე რა იყო იმისი მიზეზი: ბარში, მტკვრის პირას, მშვენიერ ვაკე მინდორზედ გაშენებულ სოფელში თურმე სცხოვრებდა, გარშემორტყმულ ვენახებით და ბალ-ხეხილით. იმის ოჯახში ღვთის თვალი თურმე ტრიალებ-

და ყოველის სიუხვით, მხოლოდ ერთი დიდი უბედურება კი უკლავდა გულს ამ გაკეთებულ მეოჯახს.

გამოზღიდა თუ არა შვილს სამ-ოთხ წლამდის, საიდგან-დაც გაუჩნდებოდა მცურავი და დაუკენდა შვილებს.

ბოლოს გაუჩნდა ერთი ქალი, მშვენიერი ბალლი იყო, დედ-მამის ერთად-ერთი ნუგეში და ამის გადასარჩენად ამ მთაზედ გადმოსახლდა.

გავიდა დრო, უამი, ქალი დიდი გაიზარდა, დამშვენდა, გაბრწყინვალდა, პირი მთვარესავით იევსო, ტანი ალვის ხეს დევგვანა. დედმამა ღმერთს მაღლობას სწირავდა, სიხარულით მთას თავის მხსნელდა სახავდა.

მარიამობის გასული იყო.

— დედაკაცო, უთხრა ქმარმა ცოლს: მე ბარში წავალ, ზერის დაკრებას შეუდგები და თან სასიძოს დავიგულებ. წა-ვიდა.

ქალი მთის გზის თავში დაჯდა და ელის მამას. ელის და მის მოლოდინს საზღვარი არა აქვს. — ყურძენი მინდა, ყურძენი, გაიძახი და გულში კი უფრო საქრმოს ამ-ბავი უნდა შეიტყოს.

აი მამაც დაბრუნდა. ცხენს ყურძნით გატენილი გოდრები უკიდია. წინ ქალი მიეგება და ყურძნისკენ ხელი გაუწვდინა.

— აცა, შვილო, ჩამოვილო. რას ჩქარობ, განა ეს სუ-ჟველა შენთვის არ მინდა? მიუალერსა მამამ და სახლისაკენ გაეშურა. ჩამოილო გოდრები და ცოლს სასიძოზედ ესაუბრა. უცებ ქალმა საშინლად შეჰკივლა.

ქალს გოდორში ხელი ჩაეყო ყურძნის ამოსალებად, იქ ბარიდგან გამოყოლილ გველს დეეშხამნა უბედური და აქ მთა-ზედაც მოსწვდა საბრალო თავის ბედის წერა.

მას აქეთ გულ-გატეხილი გლეხი განშორდა მთას და თა-ვის ნაშენი ციხე-დარბაზი მიატოვა, თითონ კი ისევ ხალხით დასახლებულ და ბალ-ვენახით მორთულს ბარს მიაშურა.

ამ ნანგრევების ალაგს კი „ელის-ქალის სახელი უწო-დაო“, დაასრულა მოხუცმა თავისი ამბავი.

ეკ. გაბაშვილისა.

# მონადირეს ნაამბობი

(რუსულიდან).



ხლაც რომ მომაგონდება, როგორ ჩემ  
რუდოს, სამითვის ბავშვს, მიაფრენდა ორ-  
ბი, სულ ეთრთი, ვკანკილებ. მაშინ ხომ  
მზად ვიყვავ ტეინი შემენთხა ციცაბი  
კლდისათვის.

ნადირობა აგრეც ადვილი არ არი,  
როგორც ჰგონიათ: მაღალი მთები, წვე-  
ტიანი ციცაბები, კლდე-ლრეები, ნაპრა-  
ლები ყოველ ნაბიჯზეა და იმდენ დაბ-  
რკოლებას ხედავ კაცი, რომ რაც უნ-  
და ჩვეული და ლონიერი იყოს ხანგრ-  
ძლივ ვერ აიტანს ამგვარ ცხოვრებას,  
ამიტომ მონადირე არ გადის ყოველ დღე  
სანადიროთ და როცა წავა კარგა ხანს  
რჩება ხოლმე გარეთ.

მე და ჩემი ცოლი ტკბილათ და  
კარგბათ ვცხოვრობდით, ხოლო შვილი  
არა გყვანდა და ეს გვაწუხებდა. ბოლოს, მესამე წელს, გა-  
გვიჩნდა შვილი, პატარა რუდო. მერე რა კარგი და ცოცხა-  
ლი ბავშვი იყო. მისი სიყვარულით ვერა გსტკბებოდით.

წავედი ერთხელ სანადიროთ, მთელ კვირაზე მეტი მო-  
მიგვიანდა—ნადირობამ გამიტაცა და ოჯახში კარგა ხანს ვერ  
დავბრუნდი. ერთ ლამეს გამიტყდა ძილი, რაღაც ნალველმა  
შემიპყრო, გული მიწუხდა, ცრემლები თვალებზე მომადგა;  
ისე გავიდა ლამე, რომ თვალი არ დამიხუჭავს, განთიადს გა-  
ოვარდი გარეთ და გავეშურე სახლისკენ. ჭათუოდ ღვამის

համց շնչելուրի ծագմեցքից, զուցովիր թյ. Թթւրքուս ցրատ հռամ ուրացրաց, մանուկ թյ Կալեց հայեց աղուտուրի հայութուրուն. մուգուզար և ցալու քո սանոնլաւ մույսն պիշտացքի, տուդի յեղաց ծովուրան ցալմուզարութեան, տաճաւ տուդի զուցաւ համասիս: „հիյարա, հիյարա Շահու սաելուն“...

ერთბაშად მომესმა საშინელი ყვირილი, გულსაკლავი ხმა. ამ ხმის გაგონებაზე სული შემცხუთა, გული თითქოს გამიქვავდა. უნდა გითხრათ რომ ეს ხმა აქამდის არ დამვიწყებია, ზოგჯერ დამე მომესმის ეს ხმა და მაშინდელივით სული შემცხუთება და გული გამიქვავდება ..

„ვხედავ ჩემი ცოლი მირბის, უკან დიდ-ძალი ხალხი მის-  
დევს, ყველა ყვირის, ხელებს იქნევს, თითქოს ვიღასაც ემუქ-  
რებიან... აღარ მასსოვს რა დამგერთა, ზემოდან, მთიდან უგ-  
ზო უკლოდ დავეშვი ძირს... მერე მითხრეს, რომ ისე მოვ-  
რბოდი, თითქოს ზემოდან მოვფრინავდი...“

შიშხა ყველა შეიპყრო.

— რა მოხდა, რა? ვყვიროდი მე.

ისინი მხოლოდ ცისკენ იშვერდენ ხელებს.

•ვიხედე მაღლა და ყველაფერს მივხვდი. „როდო, ჩვენი ბეჭნიერება, დაიღუპა“.

მაღლა, მაღლა ცაში მიფრინავდა ორბი, დიდი საძაგლი ორბი. ნელა, ნელა აღიოდა მაღლა, ეტყობოდა ტვირთი ამ-ძიმებდა, კლანჭებბი ეჭირა რაღაც თეთრი. მიგვედი ჩემ ბედ-შევობას და თოლენაკრავსავით გავიშხლართ მიწაზე.

— ჩემ საბრალო რუდოს რაღა ეშველებოდა, ყველამ  
იცით, რომ ორბი ღონისერი და მძლავრია. დიდი გრძელი თა-  
ვი აქვს, დიდი მოკაუჭებული ნისკარტი, სიგრძე არშინზე მე-  
ტისაა.

ადამიანებისა მას სრულებითაც არ ეშინიან და შეუპოვ-  
რათ გვერდზე უფრინავს. ისინი საშინელი ღონიერნი და გამ-  
ბედავნი არიან. მე მინახავს, როგორ ციცაბი კლილიან არჩმა  
გადმოაგდო ბატყანი. ერთხელ ორბს ხარის გადმოგდებაც უნ-  
დოდა მაღლობიდან, მაგრამ ვერ შესძლო. თუმცა ხარი ისე  
დაიძნა, რომ წინააღმდეგობას. ვერ უწევდი, ხოლო პლაზმა.

მათი საჭმელი ჩვეულებრივ ლეში და ძვლებია. დიდრონ ჩონ-ჩხებს კლდიდან გიღმოაგდებენ გასატეხათ ხოლმე,

დიდხანს ვერ მოვედი გონზე... ვუძახდი ცოლს, ჩემ მართას, ყველა გაშუმებული მიუურებდა... არ ვიცოდი რა მექნა... აზრი მერეოდა... თავი გახურებული მქონდა.

— მითხარით სად არი ჩემი ცოლი, ძმებო?.. ვეკითხებოდი.

— დამშვიდდი, მითხრა ერთმა,—ის იქ არის... აბა, დედას როგორ შეიკავებს ვინმე, წავიდა იმასთან... ყმაწვილთან...

ახლა კი ყველაფერს მივხვდი. დიდი გაჭირვებით წამოვდექი და მეც წაველ იქ, იმასთან, ის თუ დედა იყო, მე ხომ მამა ვარ პატარა რუდოსა, მზათ ვიყავ თავი მემსხვერპლა.

ციცაბი კლდე, სადაც არწივი და ორბი იკეთებდა ჩვენ მხარეს ბუდეს თითქმის ერთი ვერსის სამაღლეზე იყო. და ის კლდეც ისეთი წვეტიანი, რომ ფეხის მოსაკიდებელს და შესასვენებელ ადგილს კაცი ძლივს იშოვიდა. აი ამ სიმაღლეზე უნდა ასულიყო მართა და მეც, რასაკირველია, იქით გავეშურე. თუ ვინმე სულის მოსაბრუნებლათ შედგებოდა ამ კლდეზე და იქიდან ძირს ჩაიხედავდა — თავბრუ დაეხვევოდა, გეგონებოდათ კლდე ირწევაო.

კაცი კი არ აღიოდა ამ ციცაბზე, ცოცავდა და ბუზივით ეკვრებოდა კლდეს და ყოველ ნაბიჯზე ეგონა, ეს-ეს არი უფსკრულში ჩავარდებიო. როცა კაცი ფეხის მოსაკიდებელს იშოვიდა, ცოტა შეისვენებდა, მერე მოეჭიდებოდა კლდეს და დაეძებდა რაიმე ბუჩქნარს, რომ ახლა ამის დახმარებით განეგრძო გზა. ამ ასვლაში სულის ველარ იბრუნებდა, გულის ძერა შეწყდებოდა, საფეთქლებზე მოაწვევდოდა სისხლი, ხელფეხი გაულურჯდებოდა, აუკანკალდებოდა, ფრჩხილებიდან სასხლი წამოუვიდოდა, ,,თითქმის ორი საათის განმავლობაში ასე ავდიოდი მე. უცბათ აიხედე და მეორე ციცაბ კლდეზე მალლა, სულ მაღლა დავინახე მართა. ის იდგა. მის ზემოდან მოსჩინდა სწორი ადგილი, საცა ფიჩქებში ორბს ბუდე ჰქონდა... მართამ ეს არი ხელები გაიშვირა, უნდა ცოტა კიდევ მაღლა ასულიყო, რომ ბუდეს მისწდომოდა, მაგრამ ზედ თავ-



ზე დასტრიალებდა ბუდის პატრონი და გააფთრებული თავის მძლავრ ფრთხებს სახეში სცემდა, ნისკარტით უფხაჭნიდა მართას ხელებს და ცდილობდა თავისი ბუდე დაეცვა. მინდოდა თოფი მესროლა და შემეშინდა ვაი თუ ჩემ ცოლშვილს მოხვდეს მეთქი, ან შეეშინდეთ.

აი ვხედავ, როგორ მისწვდა მართა ბუდეს, მოიტაცა თეთრი შესეული... ჩვენი ძვირფასი ბიჭიკო...

მაშინ კი თავისუფლათ ამოვისუნთქე...

მართა უკან უნდა გამობრუნებულიყო. ეს ასვლაზე უფრო ძნელი იყო. ორბი მოსვენებას არ აძლევდა და ადვილათ არ ისტუმრებდა თავის დაუპატიჟებელ სტუმარს. ახლა კი მოვიგროვე ძალ-ძონე, გავეშურე მართას მისაშველებლათ — ჩამოვხსენი კლდიდან დაფხაჭნილი, დაშავებული ფრინველ — ნაღირისაგან ჩემი ცოლი. რუდოს შევხედე. სუდარისავით გათეთრებული იდო, თვალები დახუჭული ჰქონდა. ყური მივადე გულზე და გიურით დავიწივლე.

— ცოცხალია ჩვენი რედო, ცოცხალია! ჩემ ცოლს და ავიწყდა შიშიც, აღელვებაც, იარებიც... ჩაიკრა გულში რუდო. თან ტიროდა თან იცინოდა...

ღმერთო, ეს დედისაგან რა გასაკვირვებელი იყო. მე სიხარულით გავგიუდი, რომ რუდო გაღურჩა სიკვდილს.

პატარა რუდო მაშინ ია ასე დაფრინავდა ჰაერში. ახლა იმაზე ყოჩალი და გულადი ვაჟკაცი ჩვენ მთებში არ მოიპოება.

ან. წერეთლისა.



# საფრანგეთის სახელმწიფო

და

საზოგადოებრივი წერტილები.



ოგორც ევროპის ყველა სახელმწიფოებში, ისე საფრანგეთშიც საშუალო საუკუნოების განმავლობაში განვითარდა ეგრეთ-წოდებული ფეოდალური წყობილება. ცხოვრების უმთავრესი სალსარი იყო მაშინ მიწა. მიწის მესაკუთრენი იყვნოთადაა ზნაურობა და სამღვდელოება. მთელი უფლებები ამ ორი წოდების ხელში იყო. გლეხები და მოქალაქენი მოქლებული იყვნენ როგორც მიწას, ისე უფლებებს. ვინ ითვლებოდენ მოქალაქეებათ? ხელოსნები, მრეწველები და ვაჭრები. თუმცა ამ ღროს საფრანგეთში მეფე იყო, მაგრამ მთელი სახელმწიფო დაყოფილი იყო სხვა და სხვა სამთავროებათ, რომლებიც მეფეს არ ემორჩილებოდენ და ამიტომ მეფე უძლეური იყო. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მეფესა და მთავრებს შორის ბრძოლა იყო გამართული. მთავრები ნელა-ნელა მარტოდებოდენ, მეფე თანდათან ძლიერდებოდა, პარიჟი იზრდეს ბოლო და მეჩეიდმეტე საუკუნის გასულს საფრანგეთი უკვე გადიქცა ერთ სამეფოთ, რომლის სათავეშიც იდგა განუსაზღვრელი თვითმშეკრიბელი ლუდოვიკო მე-XIV. პარიზი გადიქცა მთელი საფრანგეთის სატახტო ქალაქათ და სახელმწიფოს პოლიტიკურ და გონიეროვან ცენტრათ. თუმცა ამ გვარათ კერძო მთავრებმა ლუდოვიკს წინაშე ქედი მოიხარეს, მაგრამ თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების ბატონობა უცვლელათ

დარჩა. საფრანგეთში ამ ღროს ვაჭრობა და მრეწველობა განვითარებული იყო. ვაჭრები და მრეწველები წარმოადგენდენ უკვე ურიცხვსა და ძლიერს კლისს.—ბურუუაზიას. სიმღიღრე ბურუუაზის ხელში იყო; სიმღიღრის წყალობით სწავლა-განათლებასაც ის დაქატრონა და ამ გვარათ ბურუუაზია ჯიბითა და გონებით ყველაზე წინ იდგა საფრანგეთში, პოლიტიკურ-სა და მოქალაქეობრივ უფლებებს კი მოკლებული იყო. აქედან თავის თავათ ცხადია, რომ ბურუუაზის სურვილი იყო ძველი წყობილების დარღვევა და იმგვარი წყობილების შექმნა, საცა ბურუუაზიას პოლიტიკური და მოქალაქეობრივი უფლებები ექნებოდა. თავად-აზნაურობა და მეფე სრული წინააღმდეგი იყვენ ყოველგვარი რეფორმებისა და ძველ წყობილებას იცავდენ. ბურუუაზიამ წარმოშობა მეთვრამეტე საუკუნის განმავლობაში: მრავალი მწერლები, პუბლიცისტები, მეცნიერები, რომლებმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ძველი წყობილება თვითმპრობელობისა და მისი ორაობა მჭიდრ-მეტყველურათ დაუმტკიცეს ფართო საზოგადოებას. საზოგადოებაში ნელა-ნელა იზრდებოდა უკმაყოფილება ძველი წყობილებით და განახლების ძლიერი სურვილი თანდათან ფრთხებსა შლიდა.

ხალხი დაღატაკებული იყო. სახელმწიფო შემოსავალს მეფე და ბიუროკრატები შეექცეოდენ. ხაზინა თან და თან ცალიერდებოდა, შემოსავალი გასავალს ვერ აქმაყოფილებდა და ბოლოს საქმე იქამდე მივიღა, რომ მთავრობამ ყალბი ფულის მოჭრასაც კი მაჰკო ხელი. საქმე თან და თან უკან და უკან მიდიოდა. სანამ სესხის აღება შესაძლებელი იყო, მთავრობა ფულებს სესხულობდა სხვა სახელმწიფოებისაგან და ცოდვილობდა, მაგრამ ბოლოს მთავრობამ სრულებ.. ღ დაკარგა ნდობა, კოტრობის ხმა დაუვარდა და მაშინ ლუდოვიკო მე-XVI იძულებული გახდა, მოეწვია ევრეთ-წოდებული გენერალური შტატები. ამ შტატებს შეადგენდენ თავად-აზნაურობის წარმომადგენლები, სამღვდელოების წარმომადგენლები და გლეხები. სა და მოქალაქეების წარმომადგენლები ანუ მესამე წოდების წარმომადგენლები, რაღვანაც გლეხები და მოქალაქეები, რო-



გორც უფლებებს მოკლებულნი, შეაღგენდენ ერთათ მესამე წოდებას. შტატებში არჩევნები იყო წოდებრივი, ე. ი. თავად აზნაურობა ცალკე ირჩევდა თავის წარმომადგენლებს, სამღვდელოება ცალკე და მესამე წოდება ცალკე. პირველმა წოდებამ აირჩია 270 დეპუტატი, მეორემ 291 და მესამემ 557. ყველა დეპუტატები შეიკრიბენ 5 მაისს 1789 წელს. თავად-აზნაურებისა და სამღვდელოების დეპუტატები ერთათ შეიკრიბენ და გამოაცხადეს: მესამე წოდების დეპუტატებს ჩვენ გვერდით ალაგს ვერ მივცემთ, ჩვენი სხდომა ცალკე უნდა იყოს და მათი ცალკეო. მესამე წოდების დეპუტატებმა უპასუხეს: საფრანგეთის ხალხის წარმომადგენლები ვართ ჩვენ და არა თქვენ; ჩვენ წარმოვალგენთ ეროვნულ კრებას და, თუ გნებავთ, ჩვენ შემოვციერთდოთ. მთავრობამ რომ ეს გაიგო, ფერი ეცვალა და დაემუქრა ეროვნულ კრებას: უფლება არა გაქვს, რომ შეიკრიბოვთ. ეროვნულმა კრებამ გახსნა მიუხედავათ ამისა პირველი კრება და ამით მთავრობას შეუთვალია: თუ ბიჭი ხარ, მობრძანდი და გაგვრევეთ. კრების გახსნისათანავე მესამე წოდების დეპუტატებმა ერთმანერთს შეჰვიცეს: მანამდე არ დავიშალოთ, სანამ ახალს სახელმწიფო წესწყობილებას არ შევიმუშავებთო. მთავრობამ შემოუთვალია: „სახელმწიფო წყობილების გარდაქმნა თქვენს უფლებას არ შეადგენს და, თუ მაინც თქვენსას არ მოიშლით, გაგრევავთო“. მაშინ წამოხტა მირაბო და დაიძახა: „ჩვენის ნებით აქედან ფეხს არ მოვიცვლით, დევ მთავრობამ იარაღით გაგვდევნოს აქედანო“. მთავრობა შეშინდა და იარაღს ვერ მიმართა. ნელა-ნელა მესამე წოდების დეპუტატებს შეუერთდენ სხვა წოდებების დეპუტატებიც და ამ გვარათ დაიწყო ეროვნული კრების სხდომები. ეს სხდომები წარმოადგენდენ ნამდვილ ბრძოლას მთავრობასთან. მესამე წოდების დეპუტატები ზედიზედ ფარდასა ხდიდენ მთავრობის სისახლესა და ძველი წყობილების სიღუბირეს და ითხოვდენ თვითმპრობელობის სამუდამოთ გაუქმებესა და კონსტიტუციის შემოღებას. მღელვარება საზოგადოებაშიც გადვიდა. ხალხი აჯანყდა და 14 ივნისს 1789 წელს მიაშურა ბასტილიას, საცა პოლიტიკური პატი-



మార్కని ఇమ్పుట్టెబండ్రెన్. దాసత్రింపిల్లిందాన్ బాల్చెస్ శార్కాస్సెగ్రెస్ డాస్-షిన్సెస్. బాల్చెస్ శ్రేఫర్క్యా, శ్రేక్షర్ల్డా, మాగ్రామి అం డార్లోస్ జార్కిస్ జ్ర.-తొ నాథిల్లా బాల్చెస్ మెచార్కెంగ్ గాఫ్విండా, మిఎశ్వెల్లా బాల్చెస్; గామ్-శ్రెవ్వెబ్సుల్లి బాల్చెస్సు గాయ్కాన్సా దాసత్రింపిల్లింసాక్యెన్, అంల్ ఈ డాస్-ట్రింపార్టి క్యార్లో గాయ్ల్చు. ఇస్ ఇప్ప డిఫ్రెబ్బుల్లి సానాథాంబా, రంధ్రిల్లిస్ మెగాప్సిస్ ఇస్ట్రింపార్టి క్రూట్రా ఐసెంప్సె. బాల్చెస్మా శ్రోధగిన్సా గ్రోవ్స్ బ్యుల్లి గ్రోవ్లిం మంతాగ్రంథిస్ ద్వాసామార్క్షెబ్లాత డా అంల్ ఇంప్యుబిల్యెబ్సిస్ శ్రేమంసాల్చెబాత. స్ట్రోప్లేబ్శి బాల్చెస్ ఇఖాన్యుదా డాస్-ట్ర్యూమ్ తావాఫ్యెబీస్ సాంక్ల.-జార్కిస్ ప్రెప్కెల్లింత గాన్సాఫ్గుర్జెబా. గ్రోవ్స్ బ్యుల్లిమా క్రేబ్బామ గామ్మాచ్చెబా, తావిస్ తావి డామ్ముంబ్స్ బ్యెల్ క్రేబ్బాత డా శ్రోధగిన్సా స్ట్రింపాత,, అంమింబానీసా డా మెక్సాలోఫ్సి ఉఫ్లెబాతా డ్రెక్కులార్మాప్రొసా, రంధ్రెల్లిమాప్ గాయ్జ్మా దాట్రం.ప్రమంబా డా మంసం ఇంప్యుబెబ్సి. స్థోంతా శ్రోంతిస్ డ్రెక్కులార్మాప్రొసి నాంక్యొమి ఇప్ప: సా-శ్రేల్మింటిప్పస్ ఉఫ్రంటిస్ అంతిస్ బాల్చెస్ డా, రంప్రా మాస్ మంతాగ్రంథి ఇప్పింటిప్పస్, ర్యోవ్ముల్లిప్రొసా శ్రోధగిన్సి బాల్చెస్ ఉఫ్లెబాసమ్. డ్రెక్కులా-ర్మాప్రొసి శ్రేమంపిల్లి సిన్సింఫిసిసి, సిట్రుప్పిసి, ప్రెర్సి, క్రేబెబీసిసా డా జాప్పింక్రిబీసిసి తావిసెప్పుల్లెబా. డ్రెక్కులార్మాప్రొిత సాక్యాన్మంద్రెబ్లిం ఉఫ్-లెబా ఇన్సిక్కెబోల్డా తాల్మాటిసి, రంధ్రెల్లిసి డ్రెబ్బుటాట్రెబీసాప్ బాల్చెస్ ఇంక్రీబ్బామి ఇంక్రీబ్బా. ఇంమిసర్చుల్లెబ్బుల్లి ఉఫ్లెబా మిగ్గింప్సి మి-నిసింప్రెబ్సి, రంధ్రెల్లెబీసాప్ ఇంక్రీబ్బా మెప్పె. బ్రంం మినిసింప్రెబ్సి తా-స్ట్రేబీసి మెగ్గెబ్బున్ి ఇప్పెబ్ తాల్మాటిసి ప్రోన్సెజ్. సాఫ్రాన్బగ్గెతి డాప్పిం 85 డ్రెబార్టామెగ్బ్రూతాత డా యంప్పెల్ డ్రెబార్టామెగ్బ్రూశి డాప్పిసదా తప్పిత మార్తప్పెల్లింబా. సాస్ట్రుల్లింగ్రం ఇంప్యుబెబాస్ హిమంగ్రంత్వా సాయ్కుల్లెసిం మి-ప్పింబి డా గాఫ్యాప్రా సాంక్లెల్మింటిప్పస్ బాల్చెసి సాంక్లెల్మింబీసాతప్పిసి.

అమ్మగార్ంత డాంసిదా సాఫ్రాన్బగ్గెతిశి అంల్ ఇప్పె.ఇంప్యుబిల్యెబా. తావాద్-అంబ్సాప్రమంబా గాంప్రించ్చెప్పిం సాఫ్రాన్బగ్గెతిందాన్ స్థోం సాంక్లెల్మిం-ట్యుబెబ్శి. ల్యుఫ్లంగ్పొక్కా మ్ప. VI-మాప్ ఇప్పాంర్లా సాఫ్రాన్బగ్గెతిందాన్ గాంప్స-ర్ప్యా, మాగ్రామి బాల్చెస్మా గాంగ్లో, గ్భోంగ్ శ్రేప్పుంగ్రం డా ఇప్పె తారొంశి డ్రాంబ్రున్ా. అం డార్లోస్ ల్యెసప్పుబ్లింగ్పొంగ్ అంసిం అం ఇప్పిక్రంబా సాఫ్రాన్బగ్గెతిశి డా బాల్చెస్ ఉంప్మం తాప్రింగ్పిసి మిప్పెమ్పెల్ ఇప్ప మెప్పింసా.

ప్పుర్పుల్లాంగొ ఈప్పెల్ ఇంప్యుబిల్యెబ్శి తాప్లింప్పింప్పు ఉఫ్లెబెబ్సి ఇప్ప మిప్పుబ్బుల్లి, ఫ్యుల్లి క్రి బ్లంమాతా క్షేమందా. ర్యోవ్ముల్లిప్రొిత మ్ము. గాయ్జ్మా ఇంప్యుబెబ్రింగ్పిం ఉప్పిరొట్రెసెంబాన్సి, ఉఫ్లెబెబ్సి మిప్పిక్కుసి

და ამით დაკმაყოფილდა. ხალხი კი, მშეერ-მწყურვალი და ღატაკი, რომელსაც მარტო უფლებები კი არ უნდოდა, ახამედ ლუკმა პური და ადამიანური ცხრვება, ამგვარმა იხა-ლმა წყობილებამ ვერ დაკმაყოფილა, — ის მეტს ითხოვდა.

დამფუძნებელმა კრებამ კი თავისი დეკლარაციის მიხედვით მოაწესრიგა ახალი ცხოვრება, დაიშალა და თან დაადგინა: ახალი არჩევნების დროს ძველი დეპუტატების არჩევა აღარ შეიძლება. როდესაც შესდგა ახალი ეროვნული კრება, დეპუტატების უმეტესობა უკიდურესი მემარცხენენი აღმოჩნდენ. ახალშა კრებამ გამოაცხადა: ძველი წყობილების დანგრევა პირველ კრებას არ დაუმთავრებია, ჯერ ბევრია დასანგრევით, და შეუდგა მუშაობას. მან ჩამოართვა თავად-აზნაურობას მიწიბი გლოხების სასარგებლოთ და სამღვდელოებას მოსთხოვა: კონსტიტუციას შექვიცეთო. ზოგმა შექვიცა, სხვები გაჯიურდენ. ჯიუტი მღვდლები კრებამ სამშობლოდან გააძვა. ძველი წყობილების მოტრფიალენი შეუჩნდენ ავსტრიისა და პრუსიის მთავრობას: თუ თქვენ საფრანგეთის ხალხს ამისთანა თავედობა აპატიეთ, მაშინ თქვენი ხალხიც გათამაძლება, თავს აიშვებს და თქვენც რევოლუციის მსხვერპლი გახდებითო. ავსტრიამ და პრუსიამ ისმინეს მათი ღალადება და ამხედრდენ ახალი საფრანგეთის წინააღმდეგ. რითი გისცა საფრანგეთის ხალხმა გარეშე რეაქციონერების ამხედრებას პასუხი?

ლუდვიკო მე-XVI იყო ავსტრიის მეფის სიძე. ხალხმა იცი-  
ქნა: ავსტრია და პოლონეთი ჩვენმა მეფემ აამხედრა ჩვენს  
წინააღმდეგო, აჯანყდა, შეიჭრა მეფის სასახლეში და მეფე  
ტყველ წამოიყვანა. ამ გვარათ საფრანგეთში მონარქიული წყა-  
ბილება გაუქმდა და დაარსდა პირველი რესპუბლიკა.

୧୩. ଗନ୍ଧାରତୀଳି.

(შემდეგი იქნება). დავ ატარო

## ხალხის სიბრძნე

ადამიანის წლოვანება

(ხალხური ლეგენდა ჯავახეთში ჩაწერილი იღ. ალხაზიშვილისაგან \*).



ვთის ბძანებით ექვს დღეს გაჩნდა,  
მაღლა ცა და ძირს ქვეყანა;  
ცა მოსკედა ვარსკვლავებით,  
მზე და მთვარეც დაუყენა.

დედიმიწა მთლად გაავსო,  
ფრინველით და პირუტყვითა;  
ყველგან წყალი თევზით ხარობს,  
ტყე და ველი ყვავილითა!

  
ადამიანს ედემი აქვს,  
ვერა ძღება სიტურფითა,  
არცა იცის ტანჯვა რაა,  
არც მოკვდების სიკვდილითა.

შიგ შუაგულ ედემისა,  
ტაბტი იდგა ზურმუხტისა,  
ოქროს ზოდის ფეხები აქვს,  
საყდარია \*\*) ლაუვარლისა.

\*) ამ ლეგენდების გადაბეჭდი და გადათარგმნა რედაქტირის დაუკითხავათ ფერხალულია.

\*\*) გუმბათი.

ანგელოზთ გუნდი დაგალობს,  
 აღიდებენ შემოქმედსა,  
 ღმერთი ტახტსა დაბრძანდების,  
 მეშვიდე დღეს ისვენებსა.

პირუტყვი და პირმეტყველი  
 გარს ეხვევა გამჩენელსა,  
 ღმერთმა ადამსა უბრძანა:  
 — „რათ ორ მისცემ სახელებსა“!..

— „სახელები ვინ მოსთვალოს,  
 მე დავეძებ მეუღლებსა...  
 ყველა ცხოველს თავისი ჰყავს,  
 ორ მიეცი პირ-მეტყველსა.

ღმერთმა ესეც ალუსრულა,  
 გაუჩინა კაცსა ევა,  
 სიტურფით და მშვენებითა,  
 ყველასაგან გაირჩევა.

მთლად ედემსა მათ აბარებს,  
 ხილსა ერთსა უკრძალავსო,  
 თუ რო მცნებას გადავიდნენ,  
 იმათ სიკვდილი მოჰკლავსო.

გველმა ევა შეაცდინა,  
 მთატყუა ცოდვის შვილსა,  
 „ედემი ალარ გელირსოს,  
 ტკივილითა შობდე შვილსა“.

მთავარ-ანგელოზ მიქეილ  
 დაუკეტავს სამოთხესა,  
 ადამს ღვთის რისხვა ეღწია;  
 „ოფლით, ტანჯვით სჭამდეს პურსა.“

წინედ უკვდავსა აღამსა,  
 აწ ეშინის სიკვდილისა;  
 ადამ ლმერთსა ეველრება;  
 „რახანს მომცემ სიცოცხლესა?“.

მთლაც დაგროვდა პირუტყვიცა:  
 — „რამდენს გვაძლევ სიცოცხლესა?“  
 ლმერთი ყველას დაუწესებს,  
 ოცდა ათ წლის სიცოცხლესა.

დილ-ყურა ვირი წინ წაღვა;  
 — „ოცდა ათ წელს რას ვაქნევო!“  
 მთელს სიცოცხლეს ფირობა ვემნა!  
 ამ ტანჯვას ვერ გაუძლებო?“...

ერთგულმა ძალლმა შესჩივლა:  
 — „მაგ ხანს რა ჯინმა გასძლოსო?  
 თუ უდიერს პატრონს შევხვდი  
 ამაგიც გამიქარწყლოსო“.

მაიმუნიც წამოსკუპდა,  
 ყველას სიცილი წასქდესო,  
 მაიმუნიც არ ყაბულობს,  
 ოცდა ათ წლის სიცოცხლესო.

დაუძახეს ბედის მწერლებს,  
 დიდ დავთრებში ჩასწერესო:  
 „კაცს სამ ათი წლის სიცოცხლე,  
 პირუტყვებს ათიც ეყოსო“.

ცხოველთ მადლი გადუხადეს,  
 ადიდებენ მეუფესა,  
 ჯიუტი კაცი არ იძვრის,  
 თან აცხალებს საყვედურსა:

## ხალხის სიბრძნე

„ოცდათ წელს რა მოვასტრო,  
 რა შევძინო ჩემს ცოლ-შვილსა...  
 ბალლებსაცა დაზრდა უნდათ,  
 ვინ გაუძლვეს ჩემს ობლებსა?..“

ღმერთმა მრუდეთ გადმოხედა  
 კაცია ურჩისა, უმადლოსა—  
 რაც ვირს დაიკლდა სიცოცხლე  
 ადამიანს უბოძესა.

მაგრამ კაცია რა გააძლობს,  
 თვალ-ხარბსა და უმადურსა...  
 ოც წელი ძალის დაკლდა,  
 ისიც კაცია უბოძესა.

კერპია ადამიანი,  
 შუბლის ძარღვსა არა ხსნისო...  
 რაც მაიმუნსა დაკლდა,  
 იგიც იმას უმატესო.

მას აქეთ ადამიანი,  
 უბედურათა სწერია,  
 ადამიანურ სიცოცხლეთ,  
 ოცდა ათ წელს უწერია.

მეორმოცეს რო ჩადგება,  
 ვირის ჯაფას შეუდგება,  
 ოც წელს იმდენ სარჩოს იძენს,  
 იმას ვინდა შეედრება.

მესამოცეს რო ჩადგება,  
 ძალისავითა ჰყეფს, ღრინავსო,  
 იმ ოც წელში შეძენილსა,  
 ერთგულათა დარაჯობსო.

შეიდათ წელს ოო გადასცდება,  
მაიმუნსა ემსგავსება,  
დაღმეჭილი და მასხარა,  
„სიყრმეზედ ვარ“... იკვეჩება,

ოთხმოც და ათს ვინც გადასცდა,  
ფეხი სამარეს უდგია,  
გაბრიელის დასტურს ელის,  
პაეშანი დაჰკარგვია.



# უგუღო გავში

(მთწილეობის)



## XIII.

ერ ევერარდი რომ ყანიდან სადგურზე წავიდა,  
გზით სახლში გაიარა და ვირქინი ბავშების ყუ-  
რის საგდებლათ გაისტუმრა:

ლონდონში რომ მივიდა, მაშინვე ჩვეუ-  
ლებრივთ კლუბში გასწია, იქ წერილი ხომ  
არაფერია ჩემ სახელზე, იქიდან კი, ერთ მეგობართან ერ-  
თათ ჰაიდ-პარკისკენ გაემართა; იქ ერთ ხანს მხიარულად ისე-  
ირნეს, ეტლებით და ცხენებით მოსეირნე ქალების და კაცე-  
ბის ხილვით დასტკებენ, მერე კი ერთმანეთს დასცილდენ და  
ორივე თავის გზას გაუდგენ. სახლში დაბრუნებამდის სერ  
ევესარდმა ჰაიდ-პარკის მიყრუებულ ხეივნებში აიარ ჩამოიარა;  
იქ არც ეტლები და არც ცხენოსნები იყო, არც მოსეირნე  
ქალი ან კაცი...

სერ ევერარდი თაეჩალუნული და დაფიქრებული დადი-  
ოდა; ის ჰაიდ-პარკის მიმდევ მოვახდება, მის ტანის სიმ-  
რთელეზე, მის სისუსტეზე. ის კიდევ და კიდევ ეკითხებოდა  
თავის-თავს, მოვახდებოდა თუ არა ვილლის გაზრდასო, ვაი თუ  
ავათ გამიხდეს და მომიკვდესო; ეკითხებოდა თავის თავს, ხომ  
არ აჯობებს ის საღმე თბილ ქვეყანაში წავიყვანო სამხრეთის-  
კენო, ან კიდევ უკეთესი ის ხომ არ იქნება, რომ ლონდონ-  
ში გადმოვიყვანო საცხოვრებლათ და აქ ხშირ-ხშირათ ექი-  
მებს ვაჩვენოთ.

ჰაიდ-პარკის ტბაშ უერგების ტბა და ბავშების უკანას-

ქნელი სეირნობა მოაგონდა, რა ახლოს დატოვა იმ ტბისაგან ბავშები ამ საღამოს—და გული გადმოუტრიალდა. მაგრამ გაიხსენა, რომ ვირევინი მაშინვე უნდა წასულიყო მათი ყურის საფლებლათ და ცოტა დაშვიდლა. მერე ყანაში რამდენი ხალხი იყო! როგორ გაუშვებდენ საღმე ჯორჯს და ვილლის? თითონ ვილლი და ჯორჯიც ხომ რა გატაცებული იყვნენ ახალი მანქანით და პურის მკით! ამას გარდა, ნუ თუ მამის გაწყრომა სულ არ იმოქმედებდა ჯორჯზე? არა, მაშინ ისე გულწრფელათ ინანიებდა თავის შეცდომას, ისე მწარეთ ტიროდა... არა, არა, ჯორჯი ტბასთან აღარ წავა, აღარ წაიყვანს პატარა ვილლის... მაგრამ, თუმცა ყველა ეს ფიქრი ძალიან ამშვიდებდა სერ ევერარლს, უერგემის ტბა მაინც ჯავრათ ჩაჰყოლოდა გულში, მისი შიში მაინც არ სცილდებოდა, და მას ძალა-უნებურათ ენატრებოდა ამ წამს ჯადო—სარკე, რომ დაენახა, რას შვრებოდენ ამ ღროს მისი შვილები. მართლა რომ მას ის სარკე ჰქონოდა, ამ წამს ორივე თავის შვილს ტბაზე გაშვერილ ნახევრათ დაშპალ ტოტზე წამოსკუპულებს დაინახავდა, ორივეს გაწიოლებულს და ორივეს ძალიან კმაყოფილს თავისი ბედით.

უეცრათ წვიმამ, რომელიც უერვებში მოვიდა, ლონდონშიაც დაუშვა. პაილ-პარკი უცებ დაიცალა. ცველა მოსეირნები თავ-თავის გზას გაუდგა. სერ ევერარლიც კლუბისა-ენ გაეშურა. ჯერ პალტო არც კი გაეხადნა, რომ შვეიცარმა ტელეგრამა მისკა ხელში. გახსნა თუ არა ტელეგრამა, სერ ევერარლი გიფივით ისევ გარეთ, ქუჩაში გავარდა.

— ვატერლოოს სადგურზე წადი! — დაუძიხა მან იქვე მდგომ მეეტლეს და ეტლში ჩახტა. — თუ მატარებელს მიუსწრებ, ორ ფასს მოგცემ.

მხოლოთ როცა მატარებელს მიუსწრო და ვაგონში ჩაჯდა, მაშინ მოიკრიფა სერ ევერარდმა მთელი თავისი ჰქონება და ტელეგრამა ხელი-ახლავ წასაკითხავათ ამოილო ჯიბიდან. როგორც ყველა ტელეგრამები, ესეც ძალიან მოკლე იყო და ერთსა და იმავე ღროს შიშაც დაუბადებდა კაცს გულში და იმედსაც. არ დაუკარგავდა.

## გერმან ბავშვი

„ახლავე დაბრუნდით. ორივე ბავშვი ტბაში ჩავარდა. არც ერთი არ დამხრჩალა“.

მარტო იმას შეუძლია გაიგოს, როგორ იტანჯებოდა სერ ევერარდი, ვისაც თითონ მიუღია ამ ნაირივე ტელეგრამები. ვინ იცის? იქნება არ უნდოდათ მისთვის ასე უეცრათ სიმართლე შეეტყობინებინათ და მოატყუეს, იქნება ვილლი კიდეც დაიხრჩო? მაგრამ არა! ტელეგრამაში ხომ პირდაპირ არის ნათებები, არც ერთი არ დამხრჩალაო. მაშ კოცხალია? მაგრამ რატომ სწერენ ახლავე დაბრუნდითო? ალბათ იმიტომ, რომ ტბაში ჩავარდნამ ვილლი უიმედო მდგომარეობაში ჩააგდო... ჯორჯს აბა მაინც და მაინც რას დააკლებდა ცივ წყალში ბანაობა, მაგრამ ვილლი... ვილლი...

მას მოაგონდა პატარა, სუსტი აგებულების ბავში, რომელიც ისე სიყვარულით ემშვიდობებოდა მას ყანაში ამ რამდენიმე საათის წინეთ. აბა როგორ შეიძლებს ასეთი ნაზი ბავში ცივ წყალში ჩავარდნა აიტანოს, მით უფრო რომ უკანასკნელ ავათმყოფობის მერე ჯერ სრულიათ ვერ გამოკეთებულიყო.

რაც უფრო უახლოვდებოდა მატარებელი უერგემს, მით უფრო იტანჯებოდა სერ ევერარდი. რისთვის, რისთვის წავიდენ იმ დაწყევლილ ტბასთან? არა, ამნაირი გაუგებრობა ჯორჯს ტყუილათ ის ჩაუვლის! ყოველ დღე რამე განსაკრებულში უნდა ჩააგდოს ვილლი! სასტიკათ უნდა დაისაჯოს, ძალიან სასტიკათ! უნდა მიეჩვიოს უფროსების დარიგების დათვისი დაპირების შესრულებას! რა სასტიკი სასჯელიც უნდა მიაყენოს ადამიანმა ამ დაუდევარ ბავშს, მაინც საკმარისი არ იქნება! მეტი მოთხენა, მეტი მოტევება აღარ შეიძლება!

თან სერ ევერარდი ამას ჰფიქრობდა, სხვები რაღას უყურებდენ, უფროსები სად იყვენ, როგორ ვერ უგდეს ბავშებს უური ვირეინიმ, მსაჯულმა, იმდენმა მუშებმაო? როგორ გაუშვეს ტბასთან და კინაღამ დააღჩვესო? მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო, უმთავრესი დამნაშავე მაინც ჯორჯი, ისევ და ისევ ჯორჯი იყო.

უერგემის სადგურზე სერ ევერარდს ეტლი არ დახვდა და

ვერც ვერავინ შეატყობინა, თუ რა მომხდარიყო იმის სახლში. გაგზავნა ერთი მუშა, ეტლი მომიყვანეო, მაგრამ ცდა ვეღარ შესძლო და იმავ წამს ფეხით გაუდგა გზას.

რაც უფრო უახლოვდებოდა სახლს, მით უფრო აჩქარებით უცემდა გული, მით უფრო ედებოდა შიში მთელ მის არსებას. ბოლოს აი, სახლიც გამოჩნდა. ეზოში არავინ შეხვედრია. მან მარდათ აირბინა კიბეზე და ბავშების ოთახში შევიდა. ბავშების ოთახი ცარიელი იყო. „კიბეზედაც არავინ არ ჩნდა, გარშემო სიჩუმე სუფევდა. სერ ევერარდმა მსახურებს დაუძახა, არავინ არ უპასუხა. უფრო ხმა მაღლა დაიყვირა — ცარიელ ოთახში მხოლოთ ბანმა გასცა პასუხი. მივარდა ზარს, დარეკა, მაგრამ სანამ ვინმე გამოჩნდებოდა — თითონვე ჩაირბინა კიბეზე და წიგნთ-საცავისაკენ გასწია. აქ ბევრი ხალხი იყო, ყველა ერთათ შეკრებილიყვენ და დაბალი ხმით რაღაცას ლაპარაკობდენ. დიდების ჯგუფს უცებ ერთი პატარა ბავში გამოსცილდა და ხელებ გამოშვერილი გამოექანა მისკენ. სერ ევერარდმა აღტაცებით წამოიკივლა, აიტაცა ზევით პატარა ვილლი, სიხარულით ჩაიკრა ის გულში და კოცნა დაუწყო. ვილლის დანახვამ და მისმა კარგათ ყოფნამ სერ ევერარდს ყველაფერი დაავიწყა, ისე რომ მან ვერც კი შენიშნა, რომ მის შემოსვლაზე წიგნთ-საცავში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, აღარავინ აღარ ლაპარაკობდა, აღარავინ აღარ ჩურჩულებდა...

— აბა, მიამბეთ, როგორ მოხდა, რომ ბავშები ტბაში ჩავარდენ? — მიუბრუნდა სერ ევერარდი მოსამსახურე ქალს, მერე უცებ დაუმატა: — მართლა, ჯორჯი სადღაა?

ამ კითხვაზე არავინ არ უპასუხა.

— სად არის ჯორჯი? — ხელ მეორეთ გაიმეორა სერ ევერარდმა.

— მე მითხრეს ნუ იტყვიო! — ჩაიჩურჩულა პატარა ვილლიმ და მამას გულზე მიეკრა. მამა მისი კი ისე დაჭინებით მიაჩერდა თვალებში ერთ მებალეს, რომ ამ უკნასკნელმა ძალა უნებურათ მიუგო; „აი, იქ გადავიტანეთო“. და პატარა სასტუმრო ოთახზე მიუთითა.

— იქ გადაიტანეთ? — გაკვირვებით გაიმეორა სერ ევე-  
სარდმა.

— დიახ, ბატონო! — ისევ მიუგო მებაღემ. — ყველაზე ახ-  
ლო ოთახში შევიტანეთ. ჯერ აქ გვინდოდა დატოვება, მა-  
გრამ აქ დივანი არ არის.

ჯერ მებაღეს არც კი დაეთავებინა ეს სიტყვები; რომ  
სერ ევერარდი პატარა სასტუმროში შევიდა.

ერთი დარაბი გაღებული იყო და იქიდან ოთახში მკრთა-  
ლი სინათლე შემოდიოდა. ვირქინი დივანთან დალუნული იყო,  
გარშემო რამდენიმე აღამიანი იდგა. ერთი ექიმი იყო. ის სერ  
ევერარდისკენ გამოეშურა, მაგრამ ამას მისთვის ყურადღებაც  
არ მიუქცევია და პირდაპირ დივანს მიუახლოვდა.

იქ, თავისი დედის დიდ სურათს ქვეშ, უძრავათ და უგრ-  
ძნობლათ იწვა ის, ვის სასტიკათ დასჯასაც აპირებდა სერ  
ევე არდი, ის, ვისი მოტევებაც მას აღარ შეეძლო, იწვა ფერ-  
მიხლილი და ოვალებ დახუჭული საწყალი პატარა ჯორჯი.

#### XIV

უბედურებაში არავინ დანაშაული არ იყო. ბავშების ყვა-  
რილი რომ გაეგონათ, მუშები ყანიდან მაშინვე გაქცეული-  
ყვენ და ბავშები ამოეყანათ. ვირქინის მაშინვე ექიმი მოე-  
ყვანინებინა. ექიმს მაშინვე მოევლო ორივესთვის. ერთი სიტ-  
ყვით ყველას აესრულებინა თავისი მოვალეობა და საყვედუ-  
რის ლირსი არავინ არ იყო, გარდა საწყალი პატარა ჯორ-  
ჯისა.

ვილლის არაფერი მოეწია, რადგანაც ტოტის იმ ადგი-  
ლიდან გადავარდნილიყო, რომელიც უფრო მოშორებული  
იყო ხეზე, ჯორჯი კი, რომელიც ხეს ახლოს ჩავარდნილიყო  
წყალში, ხის მსხვილ და მაგარ ძირს დახეთქებოდა და ექიმს  
ეშინოდა, ვით თუ თავი და ხერხემალი დაიზიანაო. სერ ევე-  
რარდს ურჩია, კონსილიუმი მოვახდინოთ და სერ ევერარ-  
დმაც იმავ წამს ლონდონში ორ საუკეთესო ექიმს ტელეგრამა  
დაუკრა.

ეს უბედურება ისე მოულოდნელათ დატყუდა თავს საბ-  
რალო მამას, რომ ვერც კი მიხვდა, რომ მისი დიდი ხნის

შეგობარი, ექიმი, ვერ უბედავდა პირდაპირ სიმართლის გა-  
მოცხადებას და ნელ-ნელა ამზადებდა მას საზარელი ამბის გა-  
საგებათ. ჯორჯის გადარჩენა ძნელი იყო, მაგრამ, თუ სიკ-  
ვდილს გადარჩებოდა, სამუდამოთ კუტათ უნდა დარჩენი-  
ლიყო.

ჯორჯი—კუტი! ჯორჯი მოძრაობას, სირბილს და სია-  
რულს მოკლებული! სერ ევერარდს ვერაფრით ვერ წარმოედ-  
გინა, თუ ექიმს მართლა ამის თქმა უნდოდა, როცა ცოტ-  
ცოტათი უმხელდა, თუ რა საშინელ მდგომარეობაში იყო  
ჯორჯი.

— ღმერთო ჩემო! რასი თქმა გინდათ! — უცებ მოუთმენ-  
ლათ წამოიძახა მან. — ნუ თუ იმისი, რომ ჯორჯი სრულათ  
არაოდეს არ მორჩება? ნუ თუ იმისი, რომ ის სიარულს ველა-  
რაოდეს ველარ შეიძლებს?

— ველარაოდეს, სერ ევერარდ! — მწუხარეთ მიუგო ექიმმა.

მაგრამ სერ ევერარდს მანც არ სჯეროდა ეს საზარელი  
ამბავი. ის დადიოდა ოთახიდან ოთახში, გადიოდა ბაღში,  
ბრუნდებოდა ისევ სახლში და სულ ამას იმეორებდა: „ჯორ-  
ჯი ველარ ივლის“, ჯორჯი ველარაოდეს ველარ შეიძლებს  
სიარულს“; მაგრამ თუმცა ეს სიტყვები ასჯერ და ათასჯერ  
გაემეორებინა, მანც კიდევ თითქო ჯერ ვერ გაეგო მათი აზ-  
რი, ჯერ ვერ დაეჯერებინა მათი სიმართლე. როგორ? მისი  
მხიარული, ცელქი, დაუდგრომელი პატარა ვაჟი მთელ თავის  
სიცოცხლეში ფეხზე ველარ წამოგება, მთელ თავის სიცოც-  
ხლეში დივანზე ან სავარძელზე უნდა იყოს მიკრული? რო-  
გორ? ჯორჯის მარტი ფეხები მინდოობში და ყანებში ველარ  
გაირბენ-გამოირბენენ? ჯორჯის მოუსვენარი ხელები დღეიდან  
უძრავათ უნდა დარჩენ? უერგების არე-მარეს და მის გარს  
შემორტყმულ ტყე-ველს ჯორჯის უზრუნველი სიცილ-ხარხა-  
რი აღარ გაამხიარულებს? არა, ეს შეუძლებელია, შეუძლე-  
ბელი!

მხოლოთ ახლა დააფასა სერ ევერარდმა ის ბედნიერება,  
რომელიც ყოველ ადამიანსა აქვს მინიჭებული, ის ბედნიერე-  
ბა, რომელსაც მოძრაობა წარმოადგენს. თითქო საწყალი მა-

მის უფრო დასაღლონებლათ, მის გარშემო მთელი ბუნება მოძრაობაში იყო და ხარობდა. ველზე მხიარულათ კვინტრი-შობდენ პატარა ბატქნები; ჩირგვს ქვეშიდან გრძელყურა კურ-დღელი გამოხტა და ხტუნვა-ხტუნვით გადირბინა მინდორი; პატარა პეტლები დაპტორინავდენ, კალიები დაპქროდენ, კოლოები დაბზუოდენ. ფუტკრები ხნ ერთ ყვავილს დასტრიალებდენ თავს და ხან მეორეს; ფრინვლები ცის კამარაში დანავარდობდენ და ერთი-მეორეს დასდევდენ... მხოლოთ ჯორჯი, ყველა ამ მხიარულ და ცელქ არსებებზე უფრო მხიარული და უფრო ცელქი ჯორჯი სამუდამოთ უნდა გამოჰკლებოდა. ყოველ მხიარულებას და ყოველგვარ ცელქობას.

სერ ევერარდს არ ახსოვდა, რომ ჯორჯი როდისმე მოსვენებული ენახოს, ის ყოველთვის ან საღმე მირბოდა, ან რამეზე ხტებოდა, ან საიდანმე მოცოცავდა, ან რისამე ქვეშ მიძვრებოდა, ახლა კი... ახლა... სერ ევერარდმა წარმოიდგინა ჯორჯის გამხდარი, ფერმიხდილი სახე, წარმოიდგინა ის შუღამ სავარძელში. ჩამჯდარი, უცებ მთელი თავისი არსებით იგრძნო, რა საშინელება იყო სიტყვები „ჯორჯი ვერაოდეს ველარ ივლის!“ — და ძალაუნებურათ წიმოიკვნესა: არა, ამას სიკვდილი. სჯობიაო!

სერ ევერარდი დაბრუნდა შინ, სადაც ოლელვებისაგან  
მთლათ ათრთოლებულმა ვირფინიმ გამოუკხადა, ჯორჯი მო-  
სულიერდა, უგრძნობლიათ აღარ არის და კიდეც ლაპარაკობ-  
სო. სერ ევერარდი მაშინვე პატარა სასტუმროსკენ გაეშურა.  
კარებში ექიმი შეხვდა.

— ცოტა მოითმინეთ! — უთხრა მას ექიმმა და კარები გამოიხურა, რომ ჯორჯს არაფერი გაეგონა — თქვენ ვაჟს ჰყონია, რომ თქვენ უშეყრებით და ძალიან აღელვებულია, ეშინია თქვენი ნახვის. დარწმუნებული ვარ, რომ ეს გრძნობა მაღლე გაუცლის! — დაუმატა ექიმმა, როცა შეატყო, როგორი შეაწუხა მისმა სიტყვებმა საწყალი მამა. — მოითმინეთ, ცოტა დამშვიდედეს.

— ახსოვს ყველაფერი, რაც მოხდა?

— მგონი იგონებს. ჯერ ძალიან გაუკვირდა, თავისი. თა-

ვი სასტუმრო ოთახში რომ დაინახა, მერე საშინლათ აღეს-  
ვდა და თავისი პატარა ძმის ამბავი იკითხა. თან თქვენც მო-  
გივონათ და მაშინ შეეტყო, რომ თქვენი ნახვა აშინებდა.  
ალბათ თქვენ გეცოდინებათ რატომ.

— იმიტომ რომ ხშირათ ვუწყებოდი ხოლმე, ვიღლის  
იქით-აქეთ ნუ ათრევთქო. განსაკუთრებით იმ დაწყევლილ  
ტბაზე წასვლას ვუმლიდი ყოველთვის. ხომ იცით, რა სუსტი  
ბავშია ვიღლი...

ამ სიტყვებით სერ ევერარდი თითქო ბოდიშს იხდიდა  
ექიმთან.

— ჰო, ვიღლი მართლა ძალიან სუსტი ბავშია, დიდი  
გაფრთხილება ეჭირვება.—დაეთანხმა ექიმი. ბადლობა ღმერთს,  
რომ აინც ერთხელ ასე კარგათ გადარჩა. ჯორჯი სულ სხვა  
იყო. ჯორჯისთანა მაგარი და ჯანსალი ბავში მე იშვიათათ  
შემხვეულია.—ექიმმა ამოიხსრა. —მაგრამ ამნაირ დახეგქებას  
დიდიც კი ვერ აიტანდა. ახლა კი მესმის, რატომ ღელავს.  
წავიდე ვუთხრა რომ თქვენ სრულებითაც არ ხართ მასზე გა-  
ჯავრებული?

— რასაკვირველია: ეგ რაღა საკითხავია! —წყენით მიუ-  
გო სერ ევერარდმა.

ექიმი პატარა აფათმყოფთან შევიდა.

ელ. წერეთელი.



## მსოფლიო ისტორია

ერნესტ ლავისისა

ტიბეტ III

ახალი დროება

თავი X

შეერთებული შტატების დაარსება

142. ამერიკის კოლონიების აჯანყება. — 1. ჩრდილოეთ ამერიკის ინგლისელს კოლონისტებს თავიანთი თვით-მართველობა ჰქონდათ. 2. იმიტომ რომ ინგლისის მთავრობას ჩვეულებად აქვს არ შეწერს ინგლისელი კოლონისტები და მათს საქმეში არ ჩაერთოს. 3. მხოლოდ ერთხელ გადავიდა ამ ჩვეულებას მთავრობა და ინგლისმა დაპკარგა უდიდესი თვისი კოლონია.

4. 1770 წ. ინგლისის მთავრობას ფული უჭირდა და შეაწერა გადასახადი კოლონისტებს მათდა დაუკიდხავად. 5. კოლონისტებმა გამოაცხადეს, ხარჯს არ გადავიხდით; აჯანყდნენ და გააგდეს ინგლისის მმართველნი. 6. ინგლისის მთავრობამ კოლონისტების დასამორჩილებლად ჯარი გამოგზავნა. 7. მაშინ ყველა პროვინციის კოლონისტებმა აირჩიეს ლეპუტატები, რომელნიც შეიკრიბნენ ქ. ფილადელფიაში და დაწელდნენ კონგრესად (\*). 8. ივლისის 4-ს 1776 წ. კონგრესმა გამოაცხადა, რომ პროვინციები ინგლისისაგან დამოუკიდებელნი არიან და დაარსდნენ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შუა ომს ჰქვიან ამერიკის და-

\*) კონგრესი, ქვეყნის წარმომადგენლების კრება.

\*\*) შტატი, სახელმწიფო.

მოუკიდებლაბის ოში. 10. ეს ომი დაიწყო 1774 წ. და გათავდა 1783 წ. 11. ამ ომში ჯერ ამერიკელები იყვნენ დამარცხებულნი: იმათ არა პყვანდათ წესიერი ჯარი; ინგლისის მთავრობამ კი იყადა 20,000 გერმანელი სალდათი და გაგზავნა ამერიკაში. 12. მაგრამ ამერიკელებს მიეშველნენ ფრანგი კოლონტერები \*) და მერე საფრანგეთის მთავრობამ გაუგზავნა ჯარი და ინგლისელები დამარცხდნენ. 13. ინგლისელები დაეზავნენ ამერიკელებს და აღიარეს შეერთებულ შტატების თავისუფლება. 14. იმ დროს ყველაზედ წარჩინებული მოქალაქე შეერთებულ შტატებისა იყო ჟამინგტონი, რომელმაც გაითქვა სახელი როგორც ლაშქართ მთავრობით, ისე ქვეყნის მართვით.

1. როგორი მართველობა ჰქონდათ ინგლისელ კოლონისტებს?—
2. რა აქვს ჩვეულებად ინგლისის მთავრობა?—3. ამ ჩვეულებას რომ გაფავიდა, რა მოუფრდა?—4. რა უყო ინგლისის მთავრობამ კოლონისტებს?—5. რა ჰქნეს კოლონისტებმა?—6. მთავრობამ რალა ჰქნა?—7. სად შეერთია კონგრესი?—8. რა გამოაცხადა კონგრესმა და როდის?—9. რა ჰქვიან მაგ ომს?—10. რამდენ წანს გაგრძელდა?—11. ჯერ ვინ გაიმარჯვა და რად?—12. ეინ მიეშველა ამერიკელებს?—13. რა აიძულე, ინგლისელებს?—14. ვინ იყო უდიდესი მოქალაქე შეერთებულ შტატებისა?

### შინაარსი (ზეპირად სათქმელი).

I. ჩრდილოეთ ამერიკის კოლონისტები, თვით-მართველობას შეჩემულნი, აუჯანუდენენ ინგლისის მართველობას, რომელმაც შეაწრია გადასახადი კოლონისტებს მათდა დაუკითხავად (1770 წ.).

II. ზრდისინციების დებუტატები შეიგრიანენ ფილადელფიის კონგრესზე (1776 წ.) და გამოაცხადეს შეერთებულ შტატების დამოუკიდებლობა.

III. ამერიკის დამოუკიდებლობის ოშით (1774 — 1783 წ.) შეერთებულმა შტატებმა, საფრანგეთის დახმარებით, აიძულეს ინგლისი აფერა შათი თავისუფლება.

\*) კოლონტერი, თავის ნებით ჯარში შესული სალდათი.

IV. იმ დროს შექრთებულ შტატების მმართველად იუთ უაშინ-გტონი.

### მსჯელობა მესამე წიგნზე.

I. ახალი დროება გამოცხადდა დიდრონი აღმოჩენებით და გამოვლენებით.

II. კომპასის შემწეობით ნაოსნებმა აღმოაჩინეს ამერიკა. წიგნის ბეჭდვა შველის მეცნიერებს მოჰყონონ ქვეყანას ახალნი ცნობანი; იგივე ხელს უწყობს იმ კაცებს, რომელნიც შეებრძოლნენ კათოლიკე ეკკლესიას და შექმნეს რეფორმაცია. თოფის წამლის ხმარებამ საომრად შესძინა მეფეებს საშიში ჯარები.

III. ესრედ ყველაფერი შეიცვალა: ქვეყანა გადიდდა. ევროპელები და ეპატრონნენ ქვეყანას: ჯერ ესპანელები და პორტუგალელები, შერე პოლანდელები. ფრანგებიც აარსებენ ვრცელს კოლონიებს.

IV. მაგრამ ევროპა იმის მაგიერ რომ თავი დაუდოს კო-ლონიზაციას \*), ალებ-მიცემასა და მრგწველობას, აშლილია ხანგრძლივის ომებით. საფრანგეთის და ესპანიის გაძლიერებულ მეფეებს უნდათ დაიპყრან ქვეყნები და ერთმანერთს ეცილებიან იტალიას. როცა კარლო V ესპანიის შეფე კეისრიალ გახდა, დიდი ბრძოლა ატყდა საფრანგეთის და ესპანიის სამეფო სახლებს შორის. სანთალატრიკო თმში ყველგან შემოერია სარწმუნავებულება.

V. მეწვიდეტე საუკუნის შეა ესპანიის სამეფო სახლი დამარცხდა და საფრანგეთმა დაიჭირა პირველი ადგილი ევ-როპაში მაგრამ პორტუად გამოიყენა თავისი ძლიერება.

VI. ინგლისი გახდა მისი საშიში მტერი, მას შემდეგ როცა 1688 წ. მთახდინა პოლიტიკური რევოლუცია და და-იმკვიდრა თავისუფლება. ინგლისმა წაართვა საფრანგეთს კო-ლონიები და დაიარსა დიდი საბძანებელი.—გამოჩნდა ორი

\*) კოლონიზაცია, უცხო ქვეყანაში დასახლება, იქაური მიწა-წყლის შესამუშავებლად და შესაძენად.

ახალი საშიში სახელმწიფო: რუსეთი და პრუსია. — საფრანგეთი აღარ არის უწინდელსავით ევროპის ბელის გარდამწყვეტი; მაგრამ მალე რევოლუციის საშუალებით საფრანგეთი მისცემს მიმართულებას კაცობრიობას.

აღ. სარაჯიშვილი.



# ଧର୍ମବିଦୀ

## ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧି

ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ଉତ୍ସବରେ ଉପରେ  
ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ଉତ୍ସବରେ ଉପରେ

ଧର୍ମବିଦୀ

ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ର ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ଉତ୍ସବରେ  
ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ର ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ଉତ୍ସବରେ

ନାଟିକା ପାଠ୍ୟବିଷେଖ

ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧିଙ୍କ ଉତ୍ସବରେ ଉପରେ

მ ი ნ ა ს ი ტ ჟ ჰ ა მ ბ ა.



ვენ განვიზრახეთ დავბეჭდოთ ენციკლოპედიური ლექსიკონი სრულიად ბუნებისა (ცხოველთა, მცენარეთა და ლითონთა სამეფოსი). უკვე დავიწყეთ ცხოველთა სამეფოს (ძრიელ მოკლედ) აღწერა იმ სისტემით, როგორც ბრემის შესანიშნავ წიგნებშია. სურათებიც ექნება ჩართული. ჩვენ გვსურს ორ მიზანს მივაღწიოთ: მთელი ბუნება გავაცნოთ მკითხველ ახალგაზღობას და თანაც მკვიდრი საძირკველი ჩავყაროთ ქართულ ტერმინოლოგიისა მომავალ თაობის შრომისთვის.

ამგვარი სამკვიდრო საქმე შეიძლება მშოლოდ კოლლექტივური შროშით დაგვირგვინდეს. ერთი კაცის შრომა და ისიც კაბინეთური აქ ვერას გააწყობს, ამიტომ მოგმართავთ ყველას, ვისაც-კი გული შეგტკივათ სამ-შობლა—სამეცნიერო ლატერატურისთვის ახლო მინაშილეობა მიიღოთ ამ საშილოშვილო საქმეში, თორემ ისაა, რომ სრულებით გაირყნა ქართული საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგია და რაცა გვაქვს—იმასაც ვკარგვათ. გადაათვალიერეთ ქართული მწერლობა: ფითრ ის მაგიერ რმელას სწერენ, ჭიათურის მაგიერ კოშნილს; ფრინველის ბოლოს კუდათ სწერენ, იფოფს კუკუ; აძახებინებენ. ერთგან კიდევ სწერია მარტო რქა ზღვისთევზი არისო, ნელკა თრითინა არისო და მრავალი ამისთანები.

მაშ გთხოვთ, ბატონებო, ვინც უკეთ იცადეთ რომელიმე ცხოველის სახელი ახლავე გავისწოროთ. მოგვაწყოდეთ იმ წამსევ თქვენი კრიტიკული შენიშვნა, რომ „ჯეჯილის“ ყოველ შემდეგ ნომერშივე მოვათავსოთ ჩოლმე. იმედი გვაქვს სოფლის შვილები და მასწავლებლები დიდ დახმარებას აღმოგვიჩენენ. დაავალეთ, ბატონებო, თქვენს მოწაფეებს აღნუსხონ ყოველი ცხოველი მათს არემარეში მყოფი. ამგვარი შრომა თვით მოწაფეთათვისაც სახალისო იქნება—ბავშვებს ძრიელ უყვართ ცხოველები, ხოლო ცხოველთა ცხოვრების გასაცნობათ საუკეთესო წიგნი თვით ბუნებაა.

ლექსიკონის შესახებ პირადათ თუ წერილით გთხოვთ მოგვმართოთ „ჯეჯილის“ რედაქციაში.

## შ ე ს ა გ ა ლ ი.

თუად დედამიწის ზურგზე, ზღვასა და ხმელეთზე მრავლად ასებობს სხვა და სხვა ცოცხალი ასება, მათ შეუეთ ითვ-  
ლება—ადამიანი, რომელსაც, ვით შემთქმედობითი გვირგვინს,  
ადგურებილს ძლიერის ჭკუა-გონებით და შეტყველების ნიჭით, შე-  
ქმდო ეკრძო და გამოეთქვა ბუნების სიმძლავრე—სიდიადე და მისი  
აღუწერელი შშვენიერება...

მაგრამ არისტოტელის უდიდესი გენისტური ნიჭი იყო სა-  
ჭირო, რომ საფუძველი დასდებოდა იმ შეცნიერებას (ზოოლოგია),  
რომელიც გასწავლის ცოცხალ ასებათა ვითარებას...

ჩვენი დროის ბუნების შეტყველებას სათავეში უდის კარლ  
ლინნეი (1707—1778 წ.), ამ გამოჩენილმა შეცნიერმა სავსებით  
ისარგებლა იმ აურებელი მასალით, რაც არისტოტელის შემდეგ  
მის დრომდე მოგროვდა. ლინნეიმ პირველმა შემოიღო სამდგილი  
ტერმინოლოგია და მისი ნომენკლატურა სამარადისოდ გამეფდა  
ბუნების შეტყველებაში.

ბავშვმაც-კი იცის რო მსგავსი მსგ ვსს შობამს—უვავის  
აკერცხიდან უვავის მსგავსი ბახალა გამოიჩეება, კატა კატის შსგავს  
კუტებს დაჭრის და სხვ., ლინნეიმ მსგავს ცხოველებში გაგება  
ნო მთელი მათი გვარი, მაგალითად უვავი, უორანი, ჭილუვავი,  
თუმცა ცალპ-ცალპ თავის მსგავსს შეადგენენ, მაგრამ უველანი-კი  
უვავის გვარს ეკუთვნიან. რამდენიმე გვარისაგან შეადგინა ერთი  
ოჯახი, რამდენიმე ფართისაგან შეადგინა რაზმი და რაზმებიდან  
კლასი.


დიდ დარსებიანი ლინნეის შრომას რაც ნაკლებევანება აღ-  
მოაჩნდა, შემდეგში შეაგროვ ჭერ ლამარკმა (1744 წ.), რომელმაც  
უგელა ცოცხალი არსებანი რო დიდ ჭაბუფათ გაჟურ: ხერხემლიან-  
ნი ცალპე და უხერხემალონიც ცალპე, ხოლო უორუ კიუვებ  
(1769—1832) ცხოველების ასანუსათ და გასარჩევათ ნერგებთა



სისტემის განვითარება წამთავენა. კიუვეს შიმდევარ, თანამთვარე შეცნიერებმა ერთგულის შრომით შემზაღეს და ერთხელ და სამუდამოდ დაამჟარეს ბუნების მეცნიერებაში. ღვევძნელი საუკეთესო სისტემა, რომელიც საფუძველად დაედო ბრემის შესანიშნავ შრომას.

ახალი სისტემით შირველ ტიპს შეადგენს ხერხემლიანი ცხოველების ხუთი კლასი: I, ძუძუმწოველნი II, ფრინველნი, III ქვეწარმავალნი. VI, წყალთ-ხმელეთისანი და V, ოვაზები. დანარჩენი ტიპები შესდგება უხერხემლო ცხოველებიდან.

საცა სამართალია უწინარეს უოვლისა უნდა ადინაშნოს თვეთ შეფე ბუნებისა ადამიანი, *Homo sapiens*, რადგან ჩვენც ცხოველთა I კლასის, ძუძუმწოველთ, ვეკუთვნოთ. ადამიანსაც წითელი, თბილი სისხლი აქვს და მასი შვილებიც იკვებებიან დედის ძუძუს რძით, მაგრამ ადამიანის აღწერა აქ ჩვენს ბირდაპირ საგანს არ შეადგინს.



# ძუძუმწოდენი,

Mammalia.

(მცირედი შიშვილვა).



უძუმწოველ ცხოველებში უველას აქვს თბილი, წითელი სისხლი, გული ოთხგანუოფილებიანი, ესენი სუნთქეავენ ფილტვებით, ტანის კანი შემოსილი აქვსთ ან ბალნით ან თშით, შობენ შვილებს, რომელთაც ჰკვებენ თავისი რძით.

ძუძუმწოველი ცხოველები მთელ დედამიწის ზურგზე არიან მოფენილნი, მაგრამ მეტ ნაწილად თბილ ქვეყნებში სცხოვრობენ. რაც უფრო ცხელი ქვეყანაა, იმდენად უფრო შვერიერი, ძლიერი ფერადებით არიან ცხოველები აჭრელებული, ხოლო ცივ ქვეყნებში მათ უფრო ერთფეროვნება ემჩნევათ. ძუძუმწოვლების სიცოცხლის ხანგრძლივობა ძრიელ განიჩრევა; უმთავრესად დამოკიდებულია იმ ღროზე, რა ხანიც სჭირდება ცხოველს ფიზიკურად მომწიფება-განვითარებისთვის. რაც უფრო გვიან უსრულდება ცხოველს განვითარება, მით უფრო მრავალ უამიერია. მაგალითად სპილო და ვეშაპი ღრმა მოხუცებულობას მიაღწევენ ხოლმე, წვრილმანი ძუძუმწოველი-კი დღემოკლენი არიან.

ჭკუა-გონებით ძუძუმწოველი შესანიშნავათ ვითარდებიან, რაღაც მათი თავის კოლოფი ამისთვის საკმაო ტვინს შეიცავს. რაც უნდა ვიკამათოთ იმაზე, რომ ადამიანის და სხვა ცხოველების შუა დადი უფსკრული ძევსო, მაინც არ შეგვიძლია არ ვალვიაროთ, რომ ჭკუა-გონება და სულიერი მხარე ცხოველებშიაც სუფევს და ზოგჯერ შეიძლება უმაღლესა დაც განუვითარდეთ. მაგალითად ძუძუმწოველ ცხოველებს

აქვსთ ნიჭი საგნოს გარჩევისა, მეხსიერება, მოსაზრება, აზრის დასკვნა, შეუძლიანთ თავისებურად გამოხთქვან ალექსი და სიყვარული თავის კეთილ შეფერისადმი, აგრეთვე სიძულვილი და რისხვა თავის მტრისადმი და სხვ. და სხვ. თუმცა ზოგიერთი მათი ქცევა კი არ შეიძლება აიხსნას ჰქონის განვითარებით, ანუ მოსაზრებით მოსდიოდეთ, უფრო უნდა ვიგულისხმოთ **ინსტინქტი**, ბუნებრივი თანდაყოლილი ძალა, ალღო ცხოველისა და მემკვიდრეობითი თანდაყოლილი ჩვეულება. ამ გვარად აიხსნება მეტად ხელოვნურად აშენებული ქოხები თახვისა, გადასახლება ერთი ქვეყნიდან მეორეში და აგრეთვე თაღარიგის დაჭრა—საზამთროთ შენახვა საკვებისა და სხვ.

ადამიანის ცხოვრება და მისი კეთილდღეობა მთლად და-მოკიდებულია ძუძუმწოველ ცხოველებზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუ არ ეს ცხოველები ადამიანი მის დღეში ვერ მიაღწევდა იმ კულტურულ განვითარებამდე, როთიც ეხლა სამართლიანად ამაყობს. ადამიანი ხმარობს ძუძუმწოველ ცხოველთა ძალას (ცხენი, ხარი, ვირი, აქლემი და სხვ.), მათი ხორცით და რძით იკვებება, მათი ტყავით, ბალნით ტანს იმოსავს, ფეხთ იცვამს და სხვ. და სხვა. ერთის სიტყვით ადამიანისა და ცხოველთა ურთიერთი დამოკიდებულება მარტო იშაში კი არ გამოიხატება, რომ ერთმანერთს ძრიელ გვანან ტანისა და სხეულის აგებულობით და სულიერი ვითარებით. ის სარგებლობა, რომელიც ცხოველებს მოაქვთ ადამიანისთვის უფრო აძრიელებს ერთმანერთთან დამოკიდებულებას და კავშირს.

### შირველი რაზმი.


### მაიმუნები, Pitheci.

წარმოვიდგინოთ ბუნება უზარ-მაზარ წალკოტად, სადაც ყველა ცოცხალი არსება რიგზე იქნება ჩამწკრიებული და ის ადგილი ეჭირება, რა ადგილიც მეცნიერებამ მათ მიუზომა. წალკოტის კარს შევაღებთ თუ არა, პირველ რიგზე ჩამწკრიებულნი დაგვიხვდებიან მაიმუნები და თავში გამოჭიმული

ეყოლებათ ჯერ გორილლა და მერე შიმპანზე, ორანგუტანი, ამათ მერე გიბონები და სხვ. მაიმუნები.



თავის ქალა აჩალგაზდა  
გორილლასი.



თავის ქალა მოზრდილი  
გორილლასი.

გორილას ჩონჩხი.

ბევრი მეცნიერი ცხარობს; ადამიანიც არ უნდა იდგეს წალკოტის გარეშეო—პირველ რიგში ჯერ ადამიანი უნდა იდგეს და მერე გორილლათ, იქნება ღრომ თავისი მოიტანოს

და ადამიანში აღარ ითაკილოს თავის მონათესავე გორილას-თან გვერდში ამოდგომა, მაგრამ ჯერ-კი არავის ეპიტნავება ეს აზრი.

ადამიანის სხეული გარეგანი შეხედულობით და მეტად-რე შიგნეულთა აგებულობით, მართალია ძრიელ წაგავს, ძრიელ უახლოვდება ძუძუმწოველ ცხოველებს, უმთავრესად მაიმუნებს, მაგრამ ვინც კი ადამიანის აგებულობის საოცარ გეგმას დაჰკვირვებია, მას არ შეუძლია ქედი არ მოიხაროს და დებულ ხუროთ-მოძრვის (ბუნების) წინაშე. ყოველივე წერტილი ან მოხაზულობა ზედმიწევნით არის გამოანგარიშებული, უცხოდ შემოფარგლული, სიმკვიდრესთან სიკეკლუცით საკვირვლად შეხამებული, შეფარდებული, ერთი სიტყვით ყოველივე ადამიანში ათასჯერ გაზომილია და ერთხელ გამოჭრილი. ამ მხრივ ვერც ერთი მაიმუნი თუგინდ გორილლაც (იხილე მისი ჩონჩხი) ვერ შეეღრება მას.

ავიღოთ ახლა სულიერი მხარე:

ჰკუა-გონებით და ზნეობის განვითარებით, ისეთს მიუწდომელ სიმაღლეზედ სდგას ადამიანი, რომ საფიქრებელიც არ არის ოდესმე გორილლამ მიაღწიოს მაგოდენ განვითარებას. ხოლო მეტყველების ნიჭი, ანუ უნარი ფიქრის, აზრის და გრძნობა-სურვილის სიტყვიერად გარდმოცემისა, ეს იმისთანა რამ ღვთიური ნიჭია, რომლითაც ადამიანს სრული უფლება აქვს ძეთ ღვთისად აწოდებოდეს.

შეიძლება რასაკირველია გვიპასუხონ, რომ ადამიანებ-შიაც ბევრია მახინჯი აგებულობისა, მაგ. ესკიმოსებში, ბუშ-მენებში ანუ ახალ გოლანდიელებში ვერ ვიპოვით აპოლონის ტიპს. აგრეთვე ჰოტენტოტებში ვერ აღმოვაჩენთ განვითარებულ მეცნიერს. მაგრამ იხ მახინჯი ესკიმოსი და ჰკუა-მოკლე ჰოტენტოტი გულკეთილობით და ზნეობრივათ შეიძლება ზოგიერთ ევროპიელ მეცნიერზედაც უფრო მაღლა იდგეს.

ოკენი ამბობს: „მაიმუნები ადამიანს ჰგვანან მხოლოდ ყოველ სისაძგლეში და უზნეობაში“. აი კიდევ ძვირფასი სიტყვები შეიტლინისია: „ცხოველურს ყველაფერს ვპოულობთ ადამიანში, ცხოველში-კი ადამიანურს ძრიელ ნაკლებ“.

მიიღება ხელის მოწერა 1908 ჭლისათვის.

კოდენდიური სამოლიტყო და სალიტერატურო გან  
ზეთი

# ი ს ა რ ი

გ ა ზ ე თ ი ლ ი რ ს :

ერთის წლით:

თფილისში. 6 გ. 50 კ.

თფილისის გარედ. 7 „ — „

საზღვარ-გარედ 12 „ — „

ნახევარის წლით:

თფილისში. 4 გ. — კ.

თფილისის გარედ 4 „ 50 „

საზღვარ-გარედ 6 „ — „

გ რ თ ი ს თ ვ ი თ :

თფილისში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარედ

1 გ. 50 კ.

ცალპა ნოვერი ყველან ერთი ზაური.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ИСАРИ“.

Открыта подписка на 1908 годъ

ж а т а ё н т ვ

# ЗАКАЗЫ

Третій годъ изданія.

П о д п и с ы н а я ц ѣ н ы .

СЪ ДОСТАВКОЙ ВЪ ТИФЛИСЪ.	СЪ ПЕРЕСЫПКОЙ ВЪ ДР. ГОРОДА.
на годъ . . . . .	на годъ . . . . .
6 руб. — коп.	8 руб. — коп.
на полгода . . . . .	на полгода . . . . .
3 руб. 50 коп.	4 руб. 50 коп.

Помѣсячно повсюду—75 коп., отдельный № 5 коп. Заграницей вдвое.

Тифлисъ, Головинскій пр., д. Маньшинева, № 6.

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА.

ჭ ქუთაისძი პიიღება ხელის მოწერა წიგნის მადა  
ზისძი

„086000“

იხ კვიცხარიძესთან.